

6992

# ნაბეჭდი

საბჭოო მთავრობის  
განცხადა



1916



აგენტი, № III.

მოგრძოლობაზე

# ବିଦ୍ୟାକାନ୍ତବାଜାର

ମେଧିକା ପାଠ୍ୟ ମୁଦ୍ରଣ  
କର୍ମସମ୍ପଦ ପାଠ୍ୟ ମୁଦ୍ରଣ  
କର୍ମସମ୍ପଦ ପାଠ୍ୟ ମୁଦ୍ରଣ

ଚତୁର୍ଦ୍ଦଶୀଲ ୩୦-XII.

No 3.

1916 A.




ବିଦ୍ୟାକାନ୍ତବାଜାର ପାଠ୍ୟ ମୁଦ୍ରଣ ଉପରେ କର୍ମସମ୍ପଦ ପାଠ୍ୟ ମୁଦ୍ରଣ



୨୨୪

## Ց Ա Խ Ա Ն Տ Ա

I—Ցոռ թլցոմելո թվարկութան,—սուրհոտո	1
II—Ցոռես,—լոյքին ոս ցյալաժնիսա . . . . .	3
III—Ժլցնազ Ցոռես, —լոյքին ո. և նեսարշուլութիսա . . . . .	6
IV—Ցոռ թլցոմելու գլցեսանթառլո, —աճ. Բարձրաժնիսա . . . . .	8
V—* *, —սաքասուեռ լոյքին Ցոռ թլցոմելութիսա . . . . .	15
VI—Թյազարություն, —սաքասուեռ լոյքին Ցոռ թլցոմելութիսա . . . . .	16
VII—Զմուսենո գրեգոր, —կոնոս եպիսկոպոսութիս . . . . .	17
VIII—Քարտահա թյազարություն, —(գասարշուլո) մոմյալութիս . . . . .	19
IX—Նայալուլո, —լոյքին Ճայ. ըլուռնի Մյուլութիս . . . . .	31
X—Սամո մմուս տայցալուսացալո, —եալուշորո Ներդրութիւնութիւն մլց. Վլ. Ցայերո Մյուլութիս . . . . .	33
XI—Եցուս յալու Մյուլութիւն (Մյուլութիւն), —Ներդրութիւն Քանի յիշութիւն Օնօն Անդրբենութիւն, տարցման ըրման շուլութ ունաւ նայածածիւ . . . . .	46
XII—Սամյառնալու երլուցնեցա լա Սանցելցանտիմուլո Թյառնալութիւն, Բյուրուլո մյուսմյե, —այ. Ռուսըման մյուսմյե . . . . .	57
XIII—Ցասարութիւն, —հյութութիւն . . . . .	64



# მიღება

(დღესასწაულის გამო).

როხელ დედამ წისძეითხალ  
მომცა კოხტა „ნაფალული“;  
გადაეშლე, გადავუზრულე,  
იმინგერდა ტკბილადებული!



ღმერთოჩემო, რა არ ენახე  
იმ წიგნაკში დახატული!  
ექ ყაყაჩო და იქ ვარდო,  
თან ბალაზი ჩახლართული.





ისე ცოცხლიდ მიცინდნენ,  
ისე ფშეენდნენ... ისე კრთოდნენ..  
რომ მეგონა ცელქი ცელქსა  
სათამაშოდ მიმიხმობდნენ...

სურათის ქვეშ ლექსი იყო,  
მსხვილ ასოთი აწყობილი;  
ჩაიკითხე პწერი პწერზე  
რაკრაკა და დაწყობილი!

დამავიწყდა, საღ ვიყავი,  
სახლში, კარში თუ გარეთა!.  
მწარ ფიქრებად დავიყავი,  
კითხვამ ლექსთან შემიერთა.

პაწა გოგოს მიტოვებულს  
მოკედომოდა დედა მალე;  
მიმაც ჯარში წაეყვანათ,  
სახლში იღდა სივილოლე!

უპატრონო და ოხტი  
ბავშვი ფიქრებს გაეტაცნა,  
დაექებდა დედას, მამას,  
მაგრამ ხალხს კი ეს ვერ ეცნა!

მარტო შიო, ძია შიო,  
დასტიროდა ობლის ბედა,  
ამხევებდა ქვეყნად გმობილს,  
უქარებდა დანაყბელსა,

რომ ვითომ მის, დაობლებულა.  
ალარ პყავდეს სხვა პატრონი,  
ალარივის არ უყვარდეს  
მშიერნი და უნაყრონი!

„ღმერთიაო ჩეენი მამა,  
 და დედა კი—საქართველო,  
 მოდი ჩემთან, ჩემთ გვრიტო,  
 მოდი ჩემთან, პაწა ელო;

შე მიგიღებ, შეგიცრდომებ,  
 ძია შენთვის არ დაშერება;  
 დაიხსომე, რაც გასწავლო,  
 და დაგრჩება გამირჯვება:

იყავ მტცე, ვით სალი კლდე,  
 გწამდეს ძმობა და სამშობლო;  
 შავი დლენი გადიცელიან,  
 ტანჯვასაც იქც თავის ბოლო!

რას მიყურებ? არა გჯერა?  
 იქნებ გინდა გამომიცნო!  
 მოდი, მოდი შენ ძიასთან,  
 გრუზა თმები დაგიკაცნო”!..

გავათავე ლექსის კითხვა,  
 თვალზე ცრემლი მომერია;  
 და მას შემდეგ სულ ვკითხულობ,  
 ძია შიო რომელია?


თა ეკალაძე





## მღვნად შიოს

(სოფლელი ბიჭის ხალამი)



ნატრობ, ნეტავი ფრთა მომკა,  
სადაც მსურს გავფრინდებოდე,  
რომ შენსა დღესასწაულსა  
სხვებთან მეც დავესწრებოდე.

რა ვქნა, სოფლელი გახლივიზ,  
სადლიც შორს მიგდებულია,  
ლორიბი გლეხის შეილი ვარ,  
არ მაქვს სამგზავრო ფულია,

რომ შენსკენ გამოვემგზივრო,  
სალამი გიძლენა ძიასა,  
რომ ჩემი თვალით შევხედო  
მომლიშარს, სახე-ლიასა;

შეგრამ სურეილი ფუჭია,  
ვიცი არ ამისრულდება,  
ამიტომ გული მიტირის,  
ამიტომ გული წყლულდება.

შორიდან მოგესალმებრ,  
სხვა შეტი რა დამრჩენია,

ჩვენო ხმატკბილო მღერალო,  
 ღმერთმა გიკურთხოს დღენია.

მიტომ გვიყვარხარ, რომ მუდამ  
 გვიყვავებ, გვეალერსები,  
 გულს გვითბობს, სულს გვიხალისებს  
 შენი ცქრიალა ლექსები.

მიტომ გვიყვარხარ, რომ დიდსა  
 ჰატარებისთვის გცალია,  
 ჩვენთან ჰეტი, ცელქობ, თამაშობ,  
 ჰიკეიკობ, ვით მერცხალია.

იცოცხლე მრავალ წელიწადს  
 ჩვენ გულის გასახარადა,  
 შენი სიმღერა რომ დიდხანს  
 გვესმოდეს მთა და ბარადა.


კვლავ გვიელურტულე, გვიმღერე  
 მწყობრად, ხმა ტკბილია, წყნარიადა,  
 „ნაფადულს“ ჰმატე სიმკუირცხლე,  
 „ჯეჯილს“ ეპკურე ცეარია!..

ი. სიხარულიძე



## შიო მღვიმელის

### დღესასწაული



ანდიზათ იტყვიან: — „ობლის კვერი ცხვიო, გვიან გამოცხვიო მიგრამ კარგად გამოცხვიო“. ძია შიოც ხომ ობოლია დედმით, და ოფორტუ საბავშო მცოსანი ობოლია, შეგრიმ ობოლი მარგალიტია, „სხვა არა გვყავს მისი დარი“. ობოლივით, შიოს კვერიც ნელ-ნელა ცხვა და 14 თებერვალს სახაზინო თეატრში უკვე ვიხილეთ მშვენივრად გამომცხვარი. გემოც გაუფყენით, დავსტკბით, გავიხარეთ, თვალთაგან სიხარულის ცრემლი ვდევარეთ. ბეღნიერია ძია შიო: ნარ-ეკლიანი ყამირი თავის ხელით გასწმინდა, ჯანდაკი, გამოფიტული ნიადაგი გააპოხიერ-გააპატიცა, მოხნა, მოთვეს და მკასაც მოესწრო. მკაში კი „მოხუცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესია“.

14 თებერვალს ძია შიო მკიდა მის ოცდა ათი წლის ნაპირნახულევს. ბარიქილა და ვაშა მხედველ-მთელსველს, ძია შიოს! სჩინს ოსტატურად სკოლნია გუთინის ხმარება, სჩინს დიდის მუყაითობით, და სიყვარულით მოუყელია ყანისათვის, თორემ არც ასეთი ბარაქიანი მოსაფალი ექნებოდა. „იკურ-თხოს მისი მარჯვენა“ და იყი იკურთხა კიდეც, იკურთხა დიდის ზემით.

რა ბეღნიერივარ, რომ კურითხევის დღეს დავესწარი, დავსტკბი და გავიხარე, გადავხალისდი: „სასოებამ ფრთა გაშა-



ლა. ცულსა მკრა და ამიძგერა“! „ესთქვი თუ გულსა ტრადიცია იყოს ვიტებ? ახლო არის მომავალი“!..

ეს მომავალი ჩვენი ნოტჩი თაობაა, ძია შიოს წალკოტის მშვენება, ყვავრლები—ბავშვები, მიწიერ ანგელოზთა კრებული. 14 თებერვალის ამ უმანქო ურმათა—ყვავილთა დღესასწაული იყო, ძია შიო კი დღესასწაულის მიზეზი. შიო 30 წლის განმავლობაში დაუღალავად და გატაცებით იღვწოდა, მის საყვარელ ყვავილებს ფაქტზად, ფარეზად უვლიდა; უვლიდა ყვავილთა სახით კუდრაპა გოგონებს და ცელქ ბიჭუნებს. 30 წლის შრომის შემდეგ ჰალარი მებალემ—ძია შიომ შის ნაკირნახულევ ყვავილებს თავი მოუყირა, ნაღიმი გაუმართა. ყვავილებიც შემოკრძნენ, ისიამოვნეს—ინაღიმეს. მინდა ეს ნაღიმი ავწერო, „ნაკალულის“ იმ მკითხველებსაც გავაგებინო, ვინც ამ ნაღიმს თვით ვერ დაესწრო.

ძნელია ჩემგან ამ დიდებული ნაღიმის იღწერა, გრძნობა მერევა, გონებას უსწრებს, მაგრამ მაინც ეცდი.

შიოს სადღესასწაულო დილის მოწყობა იყისრა ქართული კულტურის მოყვარულმა საზოგადოებამ. 14 თებერვალს, კვირას, თუმცა ცუდი ტაროსი იყო, მაგრამ სახაზინო თეატრი სულ სახსე იყო ხალხით. სადღესასწაულო დილაზე დასასწრებლად ბილეთები წინადვე გაიყიდა. დაესწრნენ ბავშვები თავის მშობლებით. სრულ 12 საათზე ფარდა იხადა და საზოგადოებამ დაინახა თავისი საყვარელი ექიმი—ლექტორი ვანო გომართელი, რომელმაც თავისებური უბრალო და მარტივი ენით მსმენელთ გააცნო შიო მღვიმელის შემოქმედება, დაახისითა შიო, როგორც საბავშვო ლექსების მწერალი.

ლექტორი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოეს, და ამით გათავდა პირველი განყოფილება.

მეორე განყოფილებაში, სცენაზე იდგნენ მრავალი ბავშვები, ბავშვთა მომერტოლი გუნდი და სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ბევრ ურმა ქალვაცებს ხელში ეჭირათ ყვავილების კონა-თარგული.

ყველას პირზე ღიმი უკრთის და რაღაცას ფრთხელას მისაფრთხოება მოვნოს მოვლის. და აი შორიდან მოისმის „მეზოერული“, რომლის ხმა თან-და-თან ახლოვდება. სკენაზე შემოდის კ. ჩარკვეინის მომღერალ ბავშვების გუნდი,—30—40 ქალ-ვაჟი. გუნდს ლოტბარობს 12—13 წლის პატია ლალო სულთანი-შვილი, ქულაჯაში გამოწყობილი. ამ გუნდს სიმღერით სკენაზე შემოჰყავს მოდლესასწავლე ძია შიო, რომლის დანახვაზე დამსწრე სახოგადოება მქუხარე ტაშს უკრავს. ტაშის გრიალს უკრთდება ორკესტრის „ტუში“.

ყველას თვალი შოთა კერძო არის მიმართული. მშობლები სიხარულით მშექარე პატიებს ხელით ანიშნებენ შიოს. ყველა ერთი კეთილშობრული მაღლობის გრძნობით არის შეპყრობილი, და თუ ხმა მიღლა არა, გულში მაინც უმღერის შიოს „ოსანას“...

ტაშის ცემა შეწყდა. ხილხი სმენად გადაიქცა. პირველ სიტყვა-სალაშის ამბობს ქართული კულტურის მოყვარული საზოგადოების თავმჯდომარე —ბ-ნი გ. თ. ეორდანია, რომელიც სხვათა შორის უუბნება შიოს:

„დღეს შენი რთველია... დღეს შენ იმას მოიშეი, რაც ამ 30 წლის განმავლობაში დაიგითესია... მოვედით, რათა გულწრფელი მაღლობა მოგახსენოთ.... თაყვანი ვსცემ ჩენ სიყვარელ ძია შიოს... ვაშა ბავშვთა გულის მესაილუმლეს!“ შემდეგ ულოცავენ საყმაწვილო ეურნალი „ჯეჯილი“-ს რედაქტორის სახელით „ჯეჯილი“-ს მკითხველები —განათლების სკოლის მოწაფე ქალები.

გულით საყვარელო ძია შიო!

„ჩვენ გამოგვგზავნეს განათლების სკოლის პატარა მოწაფეებმა, დაგვაიღეს მოგიძლვნათ გულწრფელი სალამი, მაღლობა გადაგიხადოთ იმ ტებილ ლექსებისთვის, რომლებიც ატებობენ ჩვენს გულსა და სმენას, ხან გულით გვაცინებენ



და ხან გვატირებენ. შენი ლექსების გმირები არიან ჩვემის ზარალის ყვარელი სტუმრები და შეგობრები, მაგალითად: „ცელჭი გოგია“ ტკბილად რომ ეალერსება თალხებში გახვეულ იას. საცოდავი „ობოლი“, რომელიც ძილში ხედის მკვდარ დედას და ეხვეწება: „ნუ მიმატოვებ; თუ ფუფულისთონ წიბეილე, მეც შენთან წიმიდანეონ“. კოწო ტკუწო“ მუდამ ჩვენ შორის არიან; „ონივარი ალექსი“ უკან დაგვდევს შელნიანი შეშით, გვემუქრება გაგოთხუპნითო, „გიგი ლეონ“ ხომ ჩვენი ახლო ნაცნობი და მეგობარია; ყველა ვვიყვარს. იცოცხლე ბიძია შიო, იცოცხლე მრავალ წელს, კიდევ ხშირად დაგვიწერე საამო ლექსები.

ახლა კი ნება გვიბოძე მოგეხვილოთ და ით შეგამეოთ.

„განათლების“ სკოლის მოწაფეებმა გადავსწყეიტეთ შენი ხსოვნის აღსანიშნავად ყოველ წლივ ჩვენ შორის შეგროვილი ფულით გავანთავისუფლოთ ერთი ულარიბესი ამხანაგი “

„ჯეჯილი“-ს წარმომადგენელთა შემდეგ სცენაზე გამოდიონ ჩვენი ეურნალის „ნაკადული“-ს წარმომადგენელნი, ახლობელი თანამშრომელი ქ. მაგიტო ნავაშიძე და ეურნალის პატიო მკითხველნი ოთხი ქალ-ვაჟნი; თინა ქარუმიძე, ლეონნიდე ასათიანი, გოგი კოხჩერებე და ლეო ანთაძე. ყველას ქართული ნაციონალური ტანისამოსი ეცვათ. „ნაკადული“-ს სახელით აი რა უთხრეს ძია შიოს:

„საყმაწვილო ეურნალ „ნაკადული“-ს ჩედაქცია გილოცავთ, ძეირდესო შიო, თქვენს 30 წლის სამწერლო სარბიელზე მოღვაწეობის დღესასწაულს.

„ნაკადული“-ს უხუცესო თანამშრომელო და დამამშვენებელო, ჩვენი ეურნალის გამოსელის დღიდან თქვენი მშვენიერი და მომხიბელელი ლექსებით იტკბობთ „ნაკადული“-ს პატიო მკითხველებს, თქვენ საყვარელ ცელქაფევილებს. თქვენ-მა ოსტატურმა და ნაზი, სცეტაკი გრძნობით დაწერილმა ლექსებმა მოხიბლეს და მოაჯაღოვეს „ნაკადულ“-ს პატარა მკითხველები. თქვენმა ცვარ-მარგალიტებმა ეურნალის კითხვა შეაყვარა ჩვენ ნორჩ თაობას; ტკბილმა საბავშვო ენით მო-



პრეტიკე ლექსებმა გამორავლა „ნაკადული“-ს მუზიკურულებრივ თქვენ ხართ ნამდგილი მუშა ფურქარი, რომელიც დაუღალავად ცვავილიდან ყვავილებზე დაფარფარებს, აგროვებს ტკბილ ნექტარს და თაფლად ძეგულ მოაქვს სკაში. ეს სკა „ნაკადული“-ი, თაფლ-კრიპუტი—თქვენი ლექსები.

იცოცხლე კათაწვილოთ ნუგეშად  
ჯერ ძირს ნუ დასდებ კალამსა;  
ათის წლის შემდეგ მოგიძლენით  
კიდევ მხურგვალე სალამსა.

„ნაკადულის“ მიმღოცავები ტაშის ცემით დააჯილდეს და ძირ შიოს ფეხით დასვეს. ეს ძლიერ სასიმონენო, თვალ-წარმტაცი სურათი იყო. შიო მოგაგონებდა დედა მტრედს, პაწია მიმღოცავები კი მტრედის ხუნდებს (ბარტ-ცებს). შიოც, სიხარულით აღტაცებული, მფარველის თვალით დასცემეროდა პაწიებს და მის მნახველს უნდებურად მოგაგონდებოდა მგოსნის სიტყვები:

—იყო ვით მტრედი უმანქო, თვის ხუნდებს უფრთხილდებოდა, არწივთა კლანები არ ჰქონან ამა აზრისთვის კვდებოდა.

ბედნიერი შიო. იმან იხილა უკვე რამოდენიმე თაობა თავის ხუნდებისა დაფრენილი, სითუოდან ამოსული, არწივთ კლანეთაგან გადარჩენილი..

მილოცვა გრძელდება. ულოცავენ და ყვავილოთ კონას უძლენიან ფურნალი „თეატრი და ცხოვრების“ სახელით ძმები გაიოზ და შალიკო იმედაშვილები. გაზეთ „თანამედროვე აზრის“ სახელით აღფრთოვანებულ სიტყვით სალამს აძლევს ახალგაზდა მგოსანი ნოე ჩხიკვებები. რიგ-რიგობით ულოცავენ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელი და კერძო პირი. ყველანი ერთის გრძნობით არიან გატაცებულნი, უცელას სურს ერთი მეორეზე გრძნობით ოლნიშნოს შიოს ამაგი ჩეენი ახალთაობისადმი.

„იცოცხლე დიღხანს, რომ კვლავ გაგეშუქებინოს გრძელების გალ თაობისათვის თვით ცნობიერების გზა“, — ეუბნებიან შიოს ნოქართა კლების სახელით მიმღოცავები.

ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლებმა მიართეს სამწერლო ძევისები ნივთები და მოახსენეს: „სწერე და ოლზარდე პატარა ქართველები და შენც დასტყბი შენი შრომის ნაყოფით“. ვიმეორებ, ყველა მიმღოცავის სიტყვა გრძნობიერია და დამსწრე საზოგადოების მიერ ტაში იწვევს, მაგრამ სულ სხვაა, როცა მია შიოს ულოცავენ პატია ქალვაები, ულოცავენ და ანგელოზებრივი უმანქო ტიტინით ლექსებს ეუბნებიან.

ამ პატიების, მართლაც ყვავილების, გამოსვლა ყველას ხიბლავს, აჯადოებს, ბევრი ცრემლსაც ვერ იმაგრებს, სიხარულით სტირის, ცრემლი ერევა შიოსაც. პატია მიმღოცავები მიღლოცვის შემდეგ თამამად გარბიან მია შიოსაკენ, შეკუნტრუშდებიან, ჩამოეპროწიალებიან საყვარელ შიოს და მხურვალედ ჰქოცნიან.

ეს სურათი მავონებს გაზაფხულის დილას, ცხოველ მყოფელი შეით გამოხარს, ირგვლივ ყველაფერი ყვავის; ფრინველთ ჭიკეკიე მიღამოს ატყბოს, დილის ნაშიანი ბალახით გაძლომის შემდეგ მდელოზე ცხვრის ფარა ისვენებს. ბატქნები ცელქობენ, კუნტრუშ-კუნტრუშით და ნაზი ბლავილით გაექანებიან დედა ცხვრებისაკენ, ეკერიან ძუძუებში, ულიტინებენ, ცელქობენ, სტკებებიან.

დედა ცხვარიც მხიარულია, დედობრივი გრძნობით მოერალია.

შიოს პატარა მიმღოცველებიც სწორედ უმანქოების გამომხატველ ბატქნებს მოგავონებდათ. ვერ გაემძლორიყევით მისი ცქერით, გვინდოდა ტიტინი არ გაეთავებინათ; ერთი რომ გაათავებდა, გვინდოდა იხლა მეორე, მისივე ტოლი, გამოსულიყო და ის მოჰყოლოდა ტიტინ-ელურტულს.

აღსანიშნავია, რომ ყველა პატია მიმღოცავი თამამად, გრძნობით და სრულის შეგნებით ეუბნებოდა ზეპირად მია



შიოს კარგა რთულ ლექსებს; მისდა სისახელოდა ჰუცუ წეზუა  
არ წაბორძიკებულა, არც ერთს არ დაუკიტყნია თავისი  
სათქმელი. ასეთი მიმღოცავები იყვნენ პაწიგბი: ექვსი წლის  
თამრიუ მათურელი, ძმები ტურიაშვილები\*) (ქულაჯებით),  
ხუხუნი, ფხალაძე, გომაგობიანი, იაშვილი, ჩიხლაძე, მერ-  
კვილაძე და სხვები. ზოგიერთმა ყმაწვილებმა თამადად და  
მკაფიოდ წაიკითხეს შიოს ლექსები.


საუცხოვო რამე იყო მომღერალი ყმაწვილების გუნდი  
და მათი პაწია სარდალი (ლოტბარი) ლადო. უნდა გენახათ  
რა თამამად, მოვალეობის რა სრულის შეგნებით ეჭირა ლა-  
დოს თავი, როგორი სარისტანობით ხელმძღვანელობდა თა-  
ვის ტოლთაგან შემდგარ გუნდს. საუცხომ იყო მათ მიერ  
ნამღერი, მაგრამ არანაკლებ საუცხომ იყო, როცა სიმღერა  
„ჰერი, ჰერი“-ს ერთმა სოფლელი გლეხის ბიჭივით გამოწყო-  
ბილმა პაწიამ ცეკვა ააყოლა. მომხიბლელი იყო იგრედვე „ცან-  
გალა და გოგონა“, იცეკვა ბავშვებმა: კვესელაძემ ქართული  
კაბით მოკაზმულმა, სვანიძემ და ზარდიაშვილმა.

შშვენიერი რამ იყო მათურელის პაწია ქალები (ტრიო),  
რომელთაც საუცხოდ იმღერეს სახალხო სიმღერები ქართლ-  
კახურ კილოზე.

ყველა სურათი, ყველა სიმღერა ერთი მეორის უკეთესი  
იყო, მაგრამ ყველაზე მეტად გრძნობა-გონქების გამტაცი იყო  
სურათი აპოთეოზი: შუაში ჩამდგარი შიო და ვარს მისი სა-  
ყვარელი ყველელები.—ინგელოზთა გუნდი. მხიარულ ყმაწვი-  
ლებს და უფრო მეტად მხიარულსა და მაღლიერი გრძნობით  
საცხოვო შიოს კულისებიდან ბავშვთა გუნდი და ორკესტრიდან  
სიმებიანი საკრავი უმოქრდა მრავალ-ეამიერს.

მრავალ-ეამიერ, ძია შიოს!

აპ. წულაძე



\*) ტურიაშვილების მილოცეა ლექსი სამეცნილი იყო „ნაკადულ-  
შია- მურეწველავანთათვეის მე-3 №-ში.

\* \* \*



გშინა ვარ ბეღნიერი, \*)  
მხოლოდ მაშინ სტკბება გული,  
როცა მესმის ნორჩი ყრმების  
სიცელქე და ქრიამული!

ცხოვრებისგან გადატეხილს  
და ნახევრად ხელ-ჩაქნეულს,  
ველარავინ ველარა მცნობს  
ზე ბალლებში ბალლად ქცეულს.

სიხარულით ვუერთდები,  
ვხტუნიობ და ვცმუკავ გულში,  
ჩემ დღეთა თვლის როდილა ვგრძნობ  
მათ მზერა და სიყვარულში...

ვისიც უნდა იყოს ბალლი,—  
ჩემთვის განუჩეველია:  
ვიცი—მისი ნორჩი გული  
სიყვარულის მფრქვეველია.

ყვავილი რომ გიშლება,  
რაკი დაჭრავს მას მზის თვალი,  
მეც იმგვარად მხილისებს  
ყრმების კარგი მომიგალი...

ცხოვრებისგან გადატეხილს  
და ბეღისგან მწარედ ძლეულს,  
ვინ წამირთმევს ამ სიმდიდრეს,  
ვინ წამირთმევს ამ განძეულს?  
შიო მღვიმელი.

— სიმდიდრე თან

\*) ეს ლაქი და „მეცვევილ“ შიოს უნდა წიგნონა თვის დღესახმარულზე  
მილოცვების შემდგე საპასუხოდ. შეგრძნ ისტ იყო აღვლევსტული, რომ ვერ წია-  
კობა, სამაგისტროდ ებეჭდვოთ.

## მეგაკილე



ეკითხებიან: სად იყავ,  
რატო არსადა ჩნდებოდი?  
— პატია ყვავილთ სამეფო  
ველებში კიმყოფებოდი...

იმათ მშეენიერ სიცოცხლეს,

უმშერდი, უთვალთვალებდი;

თუ რამ შემეძლო ფუსფუსი,

კველის ზედ დაცკანკალებდი.

ვულოლიებდი ფაქიზად  
და ჩუმის მოვლით ვტკბებოდი;  
სანამ არ დაიზრდებოდნენ,  
ამა სად მოვშორდებოდი?

იქნებ დაეკრა ციც ნიავს,

ან ქარიშხალს და ყინვასა,

რა გული მოინელებდა

იმათ კვნესას და გმინვასა?

დაწარდე, რაც კი შემეძლო,  
ჩემის ლონით და ძალითა.

თუ არა გჯერათ — გახედეთ  
თქვენი კეთილის თვალითა.


დედის გულივით სათუთებს,

ლამაზ თვალება — მზიანებს,

მათი ცქერა და ყურება

განა გულს დააზიანებს?

შიო მღვიმელი.





## ამისსენი, დედიკო!



აით მიიჩქარი, დედიკო?!

რომ იცოდე, რისი კითხვა მინდა, ცოტა ხნით  
შეჩერდებოდი! შეჩერდი! მაში ყური მიგდე, ჩე-  
მო კარგო!

მითხარ, გენაცვა, რისთვის არის, როცა შორით  
დაგინახავ, ვით ჩემი შვილდის მიერ გამონატყორცნი ისარი,  
შენკენ მოვფრინავ?!

რისთვის არის, რომ ამ დროს ყველაფერი  
მავიწყდება: აშანავები, ჩემი საყვარელი პაწია ცხენი, ბურთი?

შენ იცი, დედიკო, თუ რა არის ჩემთვის სათამაშო! მაგრამ,  
რაყი დავინახავ, ყველაფერს ვტოვებ და შენკენ მოვრბივარი...



ამ დროს ჩამდენჯერ, მახსოვს, ქვისათვის გრძელი კუთხის  
ჩემი კვინტიანი წითელი შესტები, წავქცეულვარ, ძლიერაც  
დამიშევებია ტანი, მაგრამ როცა შენი კეთილი სახე დამინა-  
ხავს, ბზრინალისავით წამოვმხტარვარ, პირი შენკენ მიქნია და,  
ვით ჭილო, გულში ჩაგქრივარ!

ჩემი გულობისანო! ოცნები შექარიცვით ტკბილი ეხა  
აათაბიაშო პასუხისათვის, ესეც ამისენი:

— რისთვის არის, რომ ზოგჯერ, როცა უქეიფოდ შე-  
ვიქნები, შენ ძლიერ სწუხხარ, ჩემს ოთახში ფეხ-აკრებით შე-  
მოდიხარ, ყველას სთხოვ, ჩუმად იყვნენ, ჩემ თავს სურნე-  
ლოვან ყვავილებით და ფერადის ხალებით მცირდ, ჩემთვის  
ფერადი ხალათები მოგაქვს, განუყრელიად ჩემ სისოფლისან-  
ზიხარ, ჩემს ხუჭუჭა თბას შენ ნაზ ხელს უსვამ, ტკბილ ნა-  
ნას მიღუდუნებ, თუმცა ხშირად ეგ ტკბილი ხმა გეპვლება,  
შენი სარკესავით წმინდა თვალები იღრუბლებიან, და შენი  
ცხელი ცრემლი ჩემ ლოყას ჰნაშვას...

ମେ ପାଇଁ, ଲୋକୀଙ୍କ, ତାହା ରାଶେ ଫୁଲିବାରେ କେବଳ ଏକ ଦିନିବୁ!

ჰო და იმისენი, რისთვის არის, რომ იმ დროს შენ ნა-  
თელ, ჩემთვის გარდა სანატრელ სახეს უზომო მწუხარების  
ბნელი ზეწარი ეფინება?

ამისენი, დედოფლი! ან მე რისთვის შევიწყდება შენთან  
ტკიფილი, ან ჩემი სენი შენ გულს რისთვის ჰქოდავს ასე  
ლრმარ?...

სონია ხაურამია.





ნუსა  
ორიენტი

## პატარა მეგობრები

(დასახული)



### III

ეორე დილით მეზუთე უბნის ბოქა-  
ულის სამხართველოში მოიყვანეს  
ორი ბავშვი; ერთი იქნებოდა ოქრო-  
მეტი წლისა, მეორე — ცამეტის.  
ორთავე ნაცემი, დალურჯებული  
იყვნენ.

— აქ მოათრით ეგ მაწანწალები! — მრისხანედ გამოს-  
ძახ ბოქაულმა „გოროდოვოს“.

— რა გინდოდათ, თქვე საძაგლებო, თქვე გასაწვერე-  
ბო, შუალამისას სხვისი სახლის კუნკულში?! მოელი დღე ქუ-  
ჩებში დაწანწალობთ, მოელ ქალაქს თავს აბეზრებთ: კიდევ  
ქურდობთ, კიდევ მათხოვრობთ!.. გასწით, ჩაყარეთ ესენი  
ქვეშ, სარდაფში; არც ასვათ და არც აქამოთ!

ბავშვები გაშეშებული შესკეროლნენ ერთშანეთს და ხმის  
ამოღებასაც ვერ ბედავდნენ.

— პური არ გინდათ, თქვე საკოდავებო? — ნელი ჩურ-  
ჩულით ჩამოსხახა ვიღაცამ ფანჯრიდან და დაბლართულ რკი-  
ნებში ძლიერს შემოაკოცა ხელი, რომელშიაც სიქმოდ მოზ-  
დილი პურის ნაჭერი ეჭირა. ციცინომ ერთი თვალით იქით

გაიხედა, მეორეთი ძმას შეხედა. კოტიკოს მუხლებში ჩატარდა.

— ჰა, ბავშვებო, გამომართვით!

ციცინო ძრწოლით მიუახლოვდა დედაკაცს და გამოართვა პური.

— რა დააშევეთ, შეილებო: თქვენ ხომ მათხოვერები ხართ?

— არა, არა, მათხოვერები არა ვართ.

— მაშ ქურდები ხართ?

— არა, არა ქურდები ვართ...

— მაშ რად შემოგყარეს აქ, შეილებო, რა დააშევეთი!.

— ჩვენ ობლები ვართ... აღვილის საძებრად ჩიმოვედით სოფლიდან. ნაცნობი ვერავინ ვნახეთ და ქუჩაში შემოგვალამდა.

— მერე?

— ჩქარა მიუახლოვდით ერთ დიდ ჭიშკარს... ჭიშკარი გაღებული იყო, და შიგ შევვედით. ეზოში ერთი დიდი სახლი იდგა, ლამპებით გაბრწყინვებული... იმის უკან კარილია პატარა ქახი იყო. მთვარე პირდაპირ შიგ ანათებდა. ერთ კუთხეში ბლომად თივა ეყარა...

— მერე, მერე? — მოუთმენლად ჩიეკითხა დედაკაცი

— მეტი გზა არ იყო, უნდა ჩიეწოლილიყავით შიგ ამ დროს კი ვიღაც საშინელშა ახმიბმა ქალმა უშველებელი მურა შემოიყვანა. ამ ქოფავის დანახვაზე ჩემმა დამ, — ციცინოზე ანიშნა კატიკომ ხელით, — შიშით შეპყირი.

— მერე?!

— მერე და არ დაგვიჯერეს, რომ ჩვენ ქურდები არ ვიყვით და დაგვიწყო ქალმა ცემა. ჩვენ ყიირილი მოვრთეთ. უველა სახლიდან გამოუვიდეთ. ერთი ალიაქოთი შეიქნა. მერე ჩვენ წაგვიყვანეს...

— ვინ წაგვიყვანათ?

— აი, იმ კაცმა, აქ რომ მოგვიყვანა. არ დაიჭურეთ მომართვა...  
რომ ჩვენ ქურდები არ ვიყავით...

კოტიკომ სახე მოიბრუნა და თვალები ურემლით ევსო.

— არც მათხოვრები ვართ, დედა არ წამიწყდეს! — მტკი-  
ცედ დაუშატა ციცინომ და ძმას შეხედა. ძალიან გაუკვირ-  
და, კოტიკო ამის შეტად არ ენახა ატირებული. ხელები შეი-  
კუშა, მოიბუზა და თვითონაც სატირლად მოემზადა.

— ნუ გეშინიათ, შეილებო, მე ახლავე გავაშვებინებ  
თქვენ თავს...

კოტა ხის შემდეგ დარაჯმა კარი გააღო და დაუყვირა  
ბავშვებს:

— წადით თქვენს გზაზე და ქურდობა ალარ გაბედოთ!  
ბავშვები ხმა-ამოულებლივ გაუდგნენ გზას.

— მოიცადეთ! — მოესმათ ვიღიაცის ხმა.

ეს ის დედაყაცი იყო, პური რომ მიუტანა.

— მოიცადეთ, ბავშვებო! .. მიაშეთ, პატრონი არავინ  
გყავთ?

— ჩვენ უპატრონონი ვართ. ნაცნობიც არაერთი გვყავს აქ.

— ჰაშ საღ უნდა წახვიდეთ?!

— რა ვიცი...

— მოიცადეთ, ჩემო პატარებო, — მე ერთ რამეს გირჩევთ:  
ეს პატარა ქალი მე დამიტოვე, შენ კი წადი. რა ვიშევს:  
ბიქი ხარ და რამე სამუშაოს იშვია. ამის მე ჩემი ქალის ტა-  
ნისამოსს ჩავატმევ, — ოდნავ იყანებოდებული ხმით წარმოსთქვა  
ქალმა და წინსაფარით ცრემლი მოიწმინდა.

კოტიკო ცნობისმოყვარეობით მიაშერებდა და ყრუდ  
წაიღუდუნა:

— დავიტოვებ, თუ...

ციცინომ მრისხანედ შეხედა ძმას და მოიღუშა.

— არა ვიშავს-რა, — შენიშნა ქალმა, — მე მყავდა შენ-  
ხელა ქალი, მაგრამ ღმერთმა არ მომცა.



卷之三

— მოგიკვდა?..

— ეს რამოდენიმე კვირაა შიწას მივაბარე... ჩემი პეპ-ლა, ჩემი მარგალიტი...

კალს გული ევესო ბოლმით და მწარედ იქვითინდა.

Առ Առ Առ Առ Առ Առ Առ Առ Առ Առ

— ნუ სტირი, დედილო! მე გავამხიარულებ; გემსახურები: ყველაფერს გაფიკეთებ, ყველაფერს... მე... მე... — უკინოც აჭირონდა.

— გამიგონებ, ჩემთ პატარიავ, წამოლი ჩემთან; შენ დედა  
არ გყავს, და მე—შეილი... ალბათ ლმერთს ასე უნდოდა.  
წამოლი, ნუ გეშინია, შენი ძმაც მალ-მალ გნახვეს.

კოტიკო დიდხანს უცქერდა სახლისკენ მიმავალ ციცი-  
ნის; თან უშიმდა მისი მოშორება, თან მადლიერი იყო  
ღმერთის, რომ ასეთი მადლიანი ადამიანი მოუკლინა მხსნე-  
ლად. ჩემი დაკი... გმადლობ შენ, ქრისტე ღმერთო! — წრფე-  
ლი გულით წარმოსთქვე კოტიკომ და გაუდგა გზას.

ამის შემდეგ კოტიკო კიდევ დიდანს დადიოდა ქუჩა  
ქუჩა. დილა ადრიან ბაზარში გაჩნდებოდა ხოლმე. ხან სანო-  
ვაგეს წაულებდა ვინჩეს, ხან მდინარიდან წყალს ამოუტანდა  
მცხოვრებთ, ხან ეზოს დაუვაიდა. ასე მთელი დღე განუწყვე-  
ტელი შრომით ძლიერ შოულობდა ორ გრაშს პურის ფასად.  
მაგრამ კოტიკო მინაც ბედს ორ ემდუროდა, რადგან მისი  
ერთად-ერთი და ცველაფრით კაბუოფილი ეგულებოდა. რამ-  
დენიმე თვის შემდეგ თვითონაც იშოვა ალაგი ყინულის სა-  
კეთებელ ქარხანაში, სადაც დღეში ორ აბას იღებდა. მუ-  
შაობა იქ დილის ექვსი საათიდან სალამოს ცხრა საათიდე  
იყო. ხელის თითები ყინულების გადაზიდ-გადმოზიდვის გა-  
მო მუდამ გაცივებული და ტანისამოსი მუდამ სველი ჰქონდა.  
მთელი დღე წირბ-გაუხსნელი მუშაობდა და მხოლოდ მაშინ  
მოუვიდოდა ტექტჩე თდნავ ლიმილი, როდესაც სკოლიდან  
მომავილი ციცინო ჩაუტანდა კარებთან და შესძინებდა:

მოწოდებული  
გვიაზრის მუნიციპალიტეტი

— ვამარჯობა, კოტიკო, როგორა ხარ?

მოწოდებული  
გვიაზრის მუნიციპალიტეტი

კოტიკო ხუმრიობით ყინულიან ხელს ცხეირზე მოუსვამდა.

კიცინო ასტენდა კისკის და შინისკენ გაჰქისლავდა.

კიცინოს მართლაც ბედმა გაულიმა. ყველაფრით კმაყოფილი იყო. ახალ-შეძენილმა დედამ, ნინომ, ის ოთხკლასიან სამაცლო სკოლაში მიაბარი. ნინო ბოქიულის მზარეული ქალი იყო, მეტად პატიოსანი, ღვთის მორჩმუნე და კეთილი ადამიანი. ის ბოქიულთან იყო მზარეულად და მავე დროს სამხართველოს სხვა მოხელეებსაც უკეთებდა სადილს, ურეულად თეთრეულს და ასე საკუთარი შრომით უხოვრობდა. ზას შემდეგ, რაც შეუდლე გადაეცვალა და ერთად-ერთი ქალი პეპელა დარჩა, მხოლოდ ის იყო და ის შისი ცხოვრების მოკიმიე ვარსკელიი... მაგრამ დაპირი საშინელმა წუთმა, და პატიარა პეპელა იმსხვერპლა შეუბრალებელმა სენმა. ნინო დარჩა მარტო: იმედი სავსებით მოესპო. „რილასთვის მინდა სიცოცხლე... ვინდა დამრჩა ქვეყანაზე, რომ ორი წვეთი ცრემლი ჩამო პეპელა... დღისით კი დაფუსტუსებდა, შრომობდა... შრომით შისთვის, რისთვისაც შრომის ყველა ადამიანი ქვეყანაზე. ბოლოს გადასწყვიტა აესრულებინა მისი ქალის უკანასკნელი თხოვნა, რომელიც მინ სიკვდილის წინ წასწირებულა გახურებული ტუჩებით: „ჩემი დედა, ჩემ მაგიერ ვინმე გაზარდეთ.. . აი, იმისთანა, ქუჩაზე რომ მათხოვრობენო“...

პეპელის ასე ჰქონდა წარმოდგენილი: ვინც მათხოვრობს, უთუოდ თბოლი უნდა იყოსო. ებრალებოდა მათხოვრები, განსაკუთრებით პატიარა ბავშვები; იმათ დანახვაზე ერუანტელი დაუკლიდა ხოლმე ტანში. ივალიკუთხობის დროს ხელგაწვდილი მათხოვარა ბავშვები ელანდებოდა. „მიეცი დედა, მიეცი... ჩემი თეთრი კაბა ჩააციო!.. ამოიკვნესებდა მომაკვდავი. და აი—ნინომაც გადასწყვიტა, ვინც შეხვდებოდა

პირველად უპატრონო იმოლი ქალი, უპატრონების შემთხვევაში და შეძლებისამებრ გაეზარდა; და ეს ბედნიერება ციკლის არგუნა ღმერთმა:— ის აღმოჩნდა პირველი.

ციკინოც თავის მხრით ცდილობდა ვაემზიარულებინა უბედური იდამიანი. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ხელად მოამზადებდა გაკვეთილებს და მოუჯდებოდა ნინოს. თან საქ-შეზე შველოდა, თან მერცხალივით ექიკიკიკებოდა და ისე გა-დაურეკდა გულზე დახვეულ ბოლმას, როგორც ფრთა-მარტი სიო მთის კორდებზე მოფენილ მსუბუქ ნისლის მხოლოდ როდესაც ნინო საღმე საქმეზე წავიდოდა და ციკინო მარტოდ დარჩებოდა, საშინელი ფიქრი მოაწვებოდა გულზე: იკონებ-და კოტიკოს და თვალებიდან ცრემლები სცვიოდა... სტი-როდა მიტომ, რომ კოტიკო წუმპეში გაძინდგლული გირლ-ებოდა. თეითონ-კი სკოლაში დადიოდა: ისეთ რამეებს სწავ-ლობდა, რაც მისმა ძმამ არ იცოდა. მართალია, კოტიკოს ნაბეჭდი ქართულის წაკითხვა შეეძლო, მაგრამ, ციკინოს აზრით, ეს საქმიარისი არ იყო.

„არა უშავს რა“.. გაიფიქრა მან და მოიწმინდა ცრემ-ლები. სასწავლებელს რომ გავათავებ, ადგილს ვიშოვი და მერე ჩემ ძმას ვასწავლი“...

ამ დროს მოაგონდა, რომ მანამდის კოტიკო დიდი გაი-ზრდებოდა, დიდებს ხომ სკოლაში არ ღებულობდნ.

მოილრუბლა ციკინო. ამ დროს ნინომაც მოუსწრო და გააბეს თავისებური ბაასი.

სუფთად მილაგებულ პატიწინა ოთახში, რამელიც სა-მშართველოს სამზარეულოს გვერდით იყო, ღამ-ღამიბით მერთალად ინათებდა ოდნავ მბეჭტავი ფარანი. მთელი დღე შრომით მოქანული ნინო აღრე წვებოდა ლოგინში. ცი-კინო კი ახლოს მოუჯდებოდა და ტიკტიკობდა,—ხან ლო-ცებს, ხან ლექსებს იმბობდა; რასაც სკოლაში ასწავლიდნენ,

თითქმის კულაფერს მოუყვებოდა. ნინო გაულმოდგინ მარტინი მენდა ციცინოს და ბოლოს ჩიკრივდა გულში.

მაგრამ დიდან არ გასტანა ციცინოს ასეთმა უზრუნველმა ყოფამ. ერთ უბედურ დღეს ნინო გაცივდა თეთრეულის რეცხის დროს და სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ციცინო მესამე კლასში გადადიოდა.

#### IV

კოტიკო ხილის წყლების ქარხანაში გადავიდა ბოთლების მრეცხავად. თიგრიც იქ დაუხვდა.

— გამარჯობა, კოტიკო; გამარჯობა, ძამია! — შესძინა სიხარულით ალფრიდოვანებულმა თიგრმა.

— ნუ თუ ეს შენა ხარ!

მიაშტრერდა გაკვირვებული კოტიკო. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თიგრმა მოასწრო.

— მე ახლა აღარ ემითხოერობ, ძამია.. ახლა თიგრს აღარ მეძიხიან. მე ახლა თედო შევია... რამდენი თვეა ჩვენი ფეხმოწყვეტილი სტეფანე აღარ მინხავს. ხა-ხა-ხა ხა!.. იმ ბრძან რაჭველს ისეთი ბერტყა გავაყრევინე ქუჩაზე, რომ... ხა-ხა-ხა... ცოცხალი ველარ ადგებოდა...

ხარხარებდა თედო და თავმომწონედ ამბობდა:

— მე ახლა მუშა შევია; გესმის, ძამიკო?!. მუშა...

— მერე როგორ მოხდა ეს?!

— მერე გეტყვი... მერე... ახლა-კი ბოთლები დავრეცხოთ, თორებ პატრიონი გაჯავრდება! ჩქარა, ჩქარა გამომყე!..

თედომ სწრაფად წამოავლო ხელი ბოთლებით სავსე კალათს და მარდად შეიღვა მხარზე, თანაც შეელივით შეკუნტრუშდა, თითქმის უნდოდა ახალ იმხანაგს რაღაც ახალი მობიბლავი სახით სჩერებოდა, მაგრამ ეს მისი უადგილო თავ

მოწონება ხელად გაუქრია. ამ ახირებულ კუნტრაზეს ჩრდილება კალათი საგრძნობლად გაეკრია მანქანის კიდეს, ბოთლები დაეცა და დაიმსხვრა ქვის იატაკზე. ამ დროს უფროსიც წა-მოაღვა თავზე და გაბრაზებული დაუყვირა:

— აი, შე ცულლუტო, შენა: დათვალე ჩქარა, რამდენი ბოთლი იყო..

თედომ აძინია ნამტვრევებში ბოთლის თავები და დას-თვილი:

— ორმოცდა ათი...

— ორმოცდა-ათი, ორმოცდა-ათი შაური. ხუთ დღეს ქირა აღარ გერგება,—გესმის!.. ასე იცის ეშმაკობამ.

თედო დალვრემილი დასკეროდა ნამტვრევებს და გული ემლვრეოდა. „ხუთ დღეს ქირას ვერ მიიღებო“ ამ სიტყვებს კიდევ იმეორებდა ვიღაცა მის ყურან.

— მაშ რა ვქნა, რა ვჭირო?—უახროდ წამოიყრინტალა თედომ, თითქოს უწყრებოდა მის უხილავ შესაუბრეს და მიიხედ-მოიხედა ყოველ მხარეს. მხოლოდ კოტიკ რიღაც ფიქ-რებს ვაეტაცნა. მწუხარედ წამოთქმულმა თედოს სიტყვებში ის გამოიჩინა და მხიარულად დაპკრა მხარზე ხელი:

— ნუ გეშინია, თედო, შენ თუ არ მოგცემენ ქირას, მე ხომ მომცემენ. ყველას გვეყოფა... ყველას... სამი შაური დღეში შენ,—სამი მე, სამი ჩემ დას. ერთი შაური კიდევ დაგვრჩის სერთო ჯამში. მაშ იგრე, იგრე, ნუ დალვრემილხარ! როცა მე გამიტუდება ბოთლები, მაშინ შენ ხარჯზე ვიცხოვროთ. მაშ აის ამხანაგები ვართ!..

ორთავე გამხიარულდნენ და შეუდგნენ საქმეს. სულ ერთი და იგივე საქმე ჰქონდათ საკეთებელი: გაიტანდნენ ბოთლებს აუზთან, დარეცხდნენ და შემოიტანდნენ; კიდევ და კიდევ-დაღამდა. კოტიკომ თავისთან მიიპატიეთ თედო და წავიდნენ — ს ვიწრო ქუჩისკენ. მეტი სიამოვნებისაგან თედოს თავბრუ ესხმოდა... სული ეგუბებოდა...

— ახლა ვნახავ ციცინოს, — ფიქრობდა ის, — და ვიწყები, რომ მე მათხოვარა აღარ ვაჩ.. . მე ახლა პატიოსანი მუშა შევიდა... მუშა... ხა-ხა-ხა-ხა .. გადიხარხარა თედომ და მედი-ლურად გადისვა შებლზე ხელი, როდესაც კოტიკომ ფრთხი-ლად შეაღო პაწაწინა გამოქვაბულის მსგავსი ოთახის კარი.

ციცინოს ესეც იყო გაეთავებია გაკვეოილების მომზა-დება და წიგნებს ალავებდა. სანათი ოდნავ ბეჭუტავდა.

— ძამიკო, მოხვედი?! . — კარებშივე შესძახა ციცინომ და აღტაცებით მივარდა ძმას მოსახვევად. — ჩემო ძამიკო, ჩემო ძამიკო! — ჩურჩულებდა ციცინო. თედო არც კი შეუმჩნევია, სანამ არ მიუთითა მაზე კოტიკომ.

— ი, კიდევ ერთი ამხანაგი, ჩემო დაიკო! შენ ხომ არ გეწყინება, ეს რომ ჩემთან დარჩეს?

ციცინომ ახლა შენიშნა თედო და განცვიურებულმა წარმოსთქვა:

— მათხოვარა თიგრი?!

თედო შეკრთა, კარებისკენ მიიწია, თითქოს უნდა უხმოდ გავარდნილიყო გარედ და გადაყარგულიყო შორს... შორს... მაგრამ კოტიკო მოეშეელა:

— ეს ახლა მუშაა, ციცინო, გესმის?.. ჩემსავით მუშა, ჩემი ამხანაგი.

— უკაცრავად, მობრძონდი!

ციცინომ სკამი მიაწოდა და ღიმილით შეხედა, თითქოს გაასწორა მისი შეცდომა.

— მუშა?!

— დიალ, მუშა ვარ, პატიოსანი მუშა... ახლა მე თედო შევია...

— თედო!.. მუშა!.. მაშ ჩენ ახლა მეგობრები ვიქნებით. ჩემი ძამიაც მუშაა.

— ჲო, მეგობრები ვიქნებით, მაგრამ შენ ხომ მუშა არა ხარ!..

ციცინო შეკრთა, თავი რაღაც გამონაკლიანტზე აჭარამშესა  
მათგან და შერცხვა. ოთაბში მყუდროება გამოფდა. სამივე  
რაღაც ფიქრებმა გაიტაცა, თავები დაბლი ჩაქინდრეს.

— ტყუილია, თედო, შენი შენიშვნა,— ცოტა სიჩუმის  
შემდეგ გაუბედავად წაიჩირჩულა ციცინომ.— მე გავხდები  
თქვენი მძინავი. მასწავლებელს ვკითხავ. იმან ცველაფერი  
იცის...

თედოს და კოტიკოს მართლაც შეუყვარდათ ერთმანერ-  
თი. ერთად ცხოვრობდნენ, ერთად შრომობდნენ და ერთად  
ატარებდნენ დროს. ციცინო-კი მესამე პიროვნება იყო მათ-  
თვის, ორთავესაგან პატივისაცემი და გისახრდელი. იმას ცი-  
ცინოც გრძნობდა. მიღიოდა დრო და თედო ხშირად გიდაი-  
სვრიდა სიტყვას ციცინოსკენ: „შენ ხომ მუშა არა ხარო“,  
და ისეთი თვალებით გადახედავდა, თითქოს აგრძნობინებდა:  
ვინც მუშა არ არის, ის ვერც მძინავი გახდება მუშისაო. თე-  
დოს ხელი ირონია ბრაზს ჰვერიდა ციცინოს, თან უღვი-  
ძებდა მათი მევობრობის სურვილს.

— მე ისეთი წიგნი მაქვს, თქვენ რომ იცოდეთ... მას-  
წავლებელმა მომუა და მიოხრა: „შენ ნაცნობ ყმაწეილებსაც  
წაუკითხეთ“.

— წაგვიკითხე, ციცინო!

— წაგვიკითხე! — დაეღრიჯნენ ბავშვები ერთ საღამოს.

— ხვალ ხომ კვირაა: — თქვენც მოცლილი იქნებით და  
შეც.

მიღიოდა ხილი ბალისკენ, ფერმისკენ, მდინარის პირალზე ჩემურიანა  
გორაზედაც თავს იყრიდნენ, სწორედ იმ ადგილას, საიდანაც  
ძველი, ისტორიული ციხის ნანგრევები მეღილურად გაიმო-  
ჰყურებს ქალაქს,— თითქოს ჩვენი წარსული ცხოვრების და  
ჩვენ მამა-პაპითა ლეთაებრივ შემოქმედების უკვდავ ძეგლად  
აჩართულა.

— ვიშ აა კარგია, რა შშეენიერია! — რაღაც უსაზღვრო  
სიამოვნებით წარმოსთქვა ციცინომ, როდესაც იმ ნანგრევე-  
ბიდან გაღმოსხედა საოცნებოდ დაბინდულ არე-მარეს. მარ-  
თლაც შშეენიერი იყო იმ დროს ბუნება: დასავლეთისკენ მი-  
წურულ მზეს მომალლო გორების შწვერვალიდან სირმის ქე-  
ლი გადაეფარებია მთელი ქალაქისათ ის. არ იძვროდა ნიავი,  
არ სმაურობდა ქარხნები, არ ისმოდა ეტლების რახრახი. თი-  
თქოს საიდუმლო სიამოვნების მოუყვას უკველივე, რომ იმ  
ბუნების სიშშეენიერეს დღიმიანთა სულიც შესტებობია და იღარ  
სურს დაარღვიოს ეს მყუდროება, ეს ტკბილი განცდათ. ისე  
იფიქტებდა შორიდან მომზირალი აღამინი. ციცინოც ხომ  
შორიდან დასცეკეროდა იმ წარმტაც სურათს და ილბალ ისიც  
ისე ფიქრობდა, რადგან ისე გაიტაცა ოცნებამ, რომ სრუ-  
ლიად გადაავიწყდა მისი შეგობრები, რომელნიც ნანგრევე-  
ბის შეორე მხარეს ქვაზე ჩამომსხდარნი უပდიდნენ.

— ლოდინით გული გადაგველია, — უსაყველურა თედომ,  
როდესაც ციცინო მათთან დაბრუნდა.

— მაინც შოვასწრებთ... უკანასკნელი ფურცელი-ლა  
დაგვრჩია.

ციცინო ჩაჯდა ამხანაგებში და განაგრძო კითხვა: „დიახ,  
როდესაც ბნელეთის მოციქულნი ილიგვებიან იმა ქვეყნიდან  
და მათთან ერთად გაქრება ინკვიზიციის დროიდან მოყოლებუ-  
ლი აღამინთა წამება: მაშინ მოისპობა ქვეყანაზე სიმდიდრე  
და სილარიბეც, უკელანი თანასწორები ვიქნებით...“



— მ სიტყვების შემდეგ თელომ და კოტიკომ მარტინული  
ჭირეს ციცინოს ხელი და აღტაცებით შესძინეს: — ციცია,  
შენ ნამდევილი ამზანავი ხარ ჩვენი, ნამდევილი შეგობარი...

— მე კიდევ ესთხოვ მასწავლებელს და კიდევ მოეიტან  
ამისთანა კარგ წიგნებს...

ეს რომ სთქვა ციცინომ, კმაყოფილი ღიმილით გადახე-  
და ორთავეს, თითქოს დარწმუნდა იმაში, რომ ამ ღლილან  
ის თედოს და კოტიკოს შესაბე შეგობარი იყო და საყვარე-  
ლი და.

**მიმქრალი.**





## ნაკადული

(ეუმრთ. „ნაკადული“)



ლდის მწვერფალი ცასა სწვდება,  
უალერსებს მზეს და მოვარეს;  
ძირს სიამით იშირება,  
გულში იკრავს ორე-მარეს.

მის ფერლობზე თვილ-წარმტაცად  
მოჰქმდის ანცი ნაკადული;

ქვეყნისათვის გადაუშლია  
მოკამქამე, ნაზი გული.

მწვერფალოდან ბარიდ მოაქვს  
მის იმზადი ზეციური;  
საამურად მოდუდუნებს,—  
სურს, დაუგდოს ყველამ ყური.


თავს იყრიან მის ნაპირზე  
ია, ვარდი და ენძელა,  
ხელ-გაყრილნი, განაბულნი  
მოუსმენენ ერთად ყველა.

უხარისათ გულში, გრძნობენ  
სიამეს და ნეტარებას,  
ანც ნაკადულს მიუმღვინიან  
მადლობას და ქებათ-ქებას...

კლდის მწვერვალი ცახა სწოდება,  
უალერსებს მშენ და მთვარეს;  
ძირს სიამით იმზირება,  
გულში იკრიბს არე-მარეს.

ମିଳ ଫ୍ରେରଦନ୍ତକୁ ତ୍ଵାଳ-ଚିଂଗମର୍ତ୍ତାପାଦ  
ମିଳିବାରିଲି ଏହି ନାୟାଦୁଲ୍ଲାଙ୍କ;  
କ୍ଷେତ୍ରକିଳିବାଟୁଙ୍କ ଗାଢ଼ୁଶିଲ୍ଲଙ୍କ  
ମନ୍ତ୍ରମୁଦ୍ରାମେ, ନାହିଁ ଘନ୍ନଙ୍କିଲାଏ...

ව. පුරුෂ සිංහල.





## სამი მმის თავგადასავალი

(ხალხური ზღაპარი).



ყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი  
რა იქნებოდა, იყო შეშეი მგალობელი,  
ღმერთი ჩვენი მწყალობელი, იყო სამი  
ძმა კაცი, უდედმაში და უთვისტომო.  
იმ სოფელში, სადაც ეს სამი ძმა ცხოვრობდა, ათასი სჯუ-  
ლის და ათასი მილიონს, სხვა-და-სხვა გვარის ხალხი სცხოვ-  
რობდა; ამ სამი ძმის გვარი-კი არც არიდინ სცხოვრობდა და  
სხვაგანაც არავინ მოიძებნებოდა. სამივე ეს ძმები უცოლოე-  
ბი იყვნენ. უმცროსში ძმამ უთხრა უფროსებს, ასე გაჩერება  
ჩვენ არ გვარგია,—მოდი, თქვენ, როგორც უფროსებმა, ცო-  
ლები შეირთეთ, და მერე მცც დავქორწილდებიო, ეგების  
ღმერთი შევცემიოს, ჩვენი გვარი სულ არ გადაშენდეს ქვა-  
ყანაზე და შეიღები გვეყოლოს.

— ჩვენ არას გზით ცოლის თხოვა არ შევიძლია. ცოლ-  
შეიღების რჩენის თავი არა გვაქვს,—მიუღეს უფროსმა ძმებმა  
უმცროს ძმას, რომელიც დღე-და-ღამ ემუდორებოდა, მაგრამ  
არ იქმნა და არა, ისინი ცოლის თხოვნაზე ვერ დიოთანხმა.

— ჩაშ არც მე მოვიყვან ცოლსაო,—უპასუხა უმცროს-  
მა... — ნერავი მე, რომ ჩემ ცოლს თქვენი მჭადის ცხობაში  
სული ამოვახდონთვი.

დაჩჩნენ ამნაირად სამივე უცოლოები.

ამის შემდეგ უმცროსმა ძმამ უთხრა უფროსებს: — რად-  
გან არცერთმა ცოლი არ შევირთეთ და მა სოფელში ბევ-



რი აცლადიდება არა გაგვაჩინია რა, ამიტომ აეიჭირებული ჰქება  
დან და წავიდეთ შორს სადმე, რომ ჩვენი მეზობლების და-  
ცინებას თვალით მაინც აღარ უყურებდეთ ხოლმეო, ვასენოთ  
ლმერთიც, და ვინ იცის, რა ბედს შევეყრებითო.

უფროსი ძმები დასთანხმდნენ, მიატოვეს თავისი ერთად-  
ერთი მამაპაპისეული ქახი და გაუდგნენ გზას, საითკენ,—  
თვითონაც არ იცოდნენ. ბევრი იარეს, თუ კოტა იარეს,  
დაღმებისას შევიდნენ ერთ უხილ მთაში და იქ დაბინავდნენ.  
დააპირეს ვახშირის ჭამა, მაგრამ, საუბედუროდ, საჭმელი ბევ-  
რი ჰქონდათ, ხოლო სასმელი კი არა. უმცროსსა ძმამ დაა-  
დო ყური მიწას და უფროსებს უთხრა:—სამი ვერსის სიშო-  
რეზე კლილიან ერთი ნაკადული გადმოსჩეიფს; წადით იქ,  
წყალი მოიტანეთ და ვივახშიოთო.

— არ შეგვიძლია: გვეშინიაო, — უპასუხეს უფროსებმა  
უმცროს ძმას.

— მაშ თქვენ იქ დარჩით, და მე მარტო წავილ წყალ-  
ზე, — მიუვო უმცროსსა.

— არც იქ შეგვიძლია მარტო დარჩინაო, — უპასუხეს უფ-  
როსებმა, რაზედაც უმცროსი ძმა ძალიან გაჯავრდა.

— თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, რამ წაგახდინათ მაგ-  
რე, რომ გეშინიათო? როდემდის უნდა გათრიოთ ხელით  
მარტო მეო.

ამის შემდეგ მან მოაგროვა ბევრი შეშა, დაუნთო უფროს  
ძმებს დიდი ცეცხლი, დასტოვა ისინი მარტო და მოზრდილი  
ჭურჭლით მარტო წავიდა წყალზე.

მართლაც, სამი ვერსის მანძილის გავლის შემდეგ, ამ  
უხილ მთაში, ვაემა დაინახა ერთი თვალუწვდენელი დიდი  
კლდე, საიდანაც გადმოსჩეიფდა მშევნიერი ნაკადული; მაგ-  
რამ, დახე უბედურებას, წყაროს ზედ თავზე გადმოჰკიდებოდა

მხეთუნახავი ქალი და წყლის ნაკალულს ძირს ფრთხოებით და ნად არ უშვებდა. ყმაწვებლი ამ სანახაობით სრულიადაც არ შემინებულა, რამაც მხეთუნახავი ქალი ძალიან გააბრაზა და ვაეს ზევიდან გაღმოსძახა:—რა ხარ და რა სულიერი, რომ ჩემი შიშით აქ მოსვლა გაგიძედნია. გასწი, დაიკარგე აქედან; ან, თუ გული გერჩის, მანდ გაჩერდი, რომ თავზე დაგეცი ლა ვავინიორწყალოთ!

— არც აქედან წიყილ და არც შენი გასრესის მეშინია! — მიუვო ვაემა.

ამის თქმა და ქალის ერთი ვით-უშველებელით მაღლიან ძირს უფსერულში, გაღმოშვება ერთი იყო.

ვაერ არ შემინდა, ჰაერშივე სტაცია ქალს ხელი, რაც ძალი და ლონე ჭერნდა რამდენჯერმე დაანარცხა მიწაზე და ორი გვერდის ძვალი ჩაუმტვრია. ქალი ტკივილებისგან ძალიან გამწარდა და ვაეს შეეხვეწა: — ოღონდ სულ ნუ მომკლავ, ღვთის გულისათვის, სული შემარჩინე, ოქროს თასის გაჩუქებ და პირობასაც მოგცემ, რომ დღეის შემდეგ ქრისტიან ადამიანს არა დაუშავო რომ. ყმაწვილმა გამოართვა ოქროს თასი, ავსო ჭურქელი წყლით და მშეიღობით დაბრუნდა ძებბოან; ქალი-კი მსწრაფლ უჩინარი შეიქნა. ძებბმა იმ ღია მშეენივრად ივახშეს და მოისვენეს. ვაემა ძებბს აჩვენა ოქროს თასი, ხოლო მისი ჩუქების და მხეთუნახავი ქალის შესახებ კი ძებბისათვის არა უთქვამს რა. მეორე დღეს-კი ისევ გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიღნენ ერთ სამეცოში. მეტის სახახლესთან რომ გაიარეს, შეუხეიეს მეფესთან. უმცროსმა ძმამ მეფეს სთხოვა: —ჩვენ ლარიბები ვართ, ეს თასი ჩვენთვის გამოუსადეგარია, თუ იყიდი და ფულს მოგვცემ, იმას უფრო გამოვიყენებთო. მეუემ და დელოფალმა აი-დეს ხელში თასი, ბევრი ატარიალეს, თვალები ზედ დარჩათ,



მერე ისევ ძმებს დაუბრუნეს და უთხრეს:—ეს თასი ათი ჩვენი სამეცნოს ფასად ლირს, და ჩვენ ვინ მოგვცა მიგისი ფასით.

ძმებმა მეცნ-დელოფალს თავი დაუკრეს და გაუდგნენ ისევ  
თავის გზას. ნახვებარი ვერსით გასცილდნენ თუ არა მცფის  
სასახლეს, შემოვყარათ გზაზე ერთი ვაჭარი, რომელმაც  
დაინიახა თუ არა თასი, მოპყვა ყვირილს და ვაი-უშეელე-  
ბელს:—თქვე ისეთებო, თქვე ისეთებო, ვინ მოგცით თქვენ  
ეგ ჩემი თასი, რათ დამლუპეთ და დამაქტიეთ,—რად მომა-  
რეთო? ძმები დიდათ გააკვირა ვაჭრის ისეთში უსირცხვილო  
შარჩა.

ვაჟარმა ძმები ისევ შეფე-დედოფუალთან დააბრუნა. შეფე-დედოფუალმა დაუჯერეს მას და დაიპირეს თასის ჩამორტმევა, რაზედაც ძმები ძალიან გაჯაკრდნენ და მოინცოშეს შეფე-დედოფლის წინ ვაკრის გაგლეჯა, მეგრამ შეფემ ამნაირად მოარიგა ისინი: ოქროს თასი მისცა ისევ უმცროს ძმას, ხოლო უფროსი ძმები კი მისცა შეცვლად ვაჟარს, იმ პირობით, რომ სამი წლის შემდეგ ამ თასის მზგავსი ერთი სხვა თასი უნდა მოეტანა მეფისათვის თავის გასამართლებლად; მაშინ უფროსი ძმები მიიღებდნენ თავისუფლებას, თუ არა და —გახდებოდნენ ვაკრის სამუდამო ყმებად, შინა-მოსამსახუ-რებად.

დაღიან ძნელი იყო ძმებისათვის ერთმანეთის დაშორება. იმათ მოთქმას და ეიშს საზღვარი არა ჰქონდა. დღის ტრიულითა და ვაგლახით გამოეთხოვნენ უფროისი ძმები თავის მამაც უმცროს ძმას, რომელიც იმედებდა მათ, — ღვთით ჩალე დავიხსნით. უცროსსა ძმამ ახსენა ღმერთი და გაუდგა გზას, საითკი, თვითონაც არ იცოდა. გადაიარა ამ სახელმწიფოს საზღვრები და მიადგა ზღვის კიდეს. იქ დაინახა გემი, სავსე მგზავრებით, რომლებიც ზღვის მეორე მხრისკენ მიღიოდნენ. გემის

პატრონი გემს ადგილიდან არა სძრავდა და დარღიანებული იყოთანა  
შეჰყურებდა მგზავრებს.

ვაერ მივიდა ზღვის პირად, აეიდა გემშე და გემის გაჩე-  
რების მიზეზი იკითხა. პატრონმა უპასუხა:

შევაცურებ თუ არა გემს შუაგულ ზღვაში, მაშინვე ზღვა  
ლელეს იწყებს, რაღაც უჩინარი ძალა გემს ძირიდან აწვება,  
ყირიმალა გადამიბრუნებს ხოლმე და ამნაირად მიღუპავს გემსა  
და ყველა მგზავრებსათ. ამას ამისი მეშინია და ამიტომ ვერ  
ვბედავ ზღვაში შეცურებსათ.

— ნუ გეშინიათ,—დააიმედა გემის პატრონი ყმაწვილ-  
მა.—შეაცურე გემი და მე გიხსნი დაღუპვისავანათ.

შეშინებული გემის პატრონი კარგა ხინს არ უჯერებდა  
ყმაწვილს, მაგრამ მერე მიენდო მის ვაეკაცობის და გემი ზღვაში  
შეაცურა. როცა გემმა ზღვა გაასაშუალა, უეცრად შეიქმნა ლე-  
ლვა და ის-ის იყო გემი გადამიბრუნებას ლამობდა, ყმაწვილმა  
გაიხადა ტანისამოსი, გადახტა წყალში და გემს ძირს ქვეშ  
მოექცა. აქ იმან დაინახა ნახევრად ტიტველი ქალი, სახით  
მეტად მშევნიერი და გრძელ—ნაწნავებიანი. თურმე ეს ქალი  
იყო გემის დამღუპველი და ამდენი ადამიანის სიცოცხლის  
მომსპობი. ყმაწვილმა სტაცა ამ ქალს თმებში ხელი და რაც  
ძალი და ლონე ჰქონდა მოჰველიჯა იგი გემს და ქალს ორი  
გვერდის ძეალი ჩაუმტვრია.

ახლა—კი იკადრა ქალმა ხევწნა:—ოლონდ ნუ მომჟლავ,  
და ღმერთსა ცუიცავ, რომ დღეის შემდეგ ქრისტიან ადამიანს  
ალარა დაუშევო რაო. ნიშნად ჩემი საეთი პირობისა ეს ოქ-  
რს ბადია შენთვის მიჩუქებიათ—სთქვა და უეცრად გამჭრა  
ზღვის სიცრცეში.

ამნაირად გადაარჩინა ვაემა გემი დაღუპვას. მგზავრები  
შევიდობით გავიდნენ ზღვის მეორე ნაპირას. აქ ვაეტი გამოე-  
თხოვა გემის პატრონს და ყველა მგზავრებს, რომელთაც დი-  
დი მაღლობა შესწირეს, და გაუდვა გზას.



ვაჟმა შემოიარა სხვა-და-სხვა მეფეთა სასახლეებით; ამ წელს ნებდა თავის თასს და ყველას ეხვეწებოდა, თუ ვისმეს ამ თასის მხგავსი თასი გაქვთ, მომყიდეთ, იწამეთ გამჩენიო; მაგრამ ყველანი ერთხმად ეუბნებოდნენ, ეს თასი ათ ჩვენ სამეფოდ ღირს, და ვინ მოგვეც მისი ყიდვის შეძლებათ. ყმაწეოლი გულნატკენი შორიდებოდა მათ.

ბევრი სიარულის შემდეგ მიიღიდა ერთ სამეფოში. სოფელზე რომ გიორგი, დაინახა, ერთი მოხუცებული ქალი ცხარე ცრემლით მოსთქვამს. ყმაწეოლი მიიღიდა ამ ქალთან და პკითხა მიზეზი მწუხარებისა; ქალი მოსთქვამს, სტირის, მდუღარე ცრემლებს აფრქვევს და ვაჟს ხმასაც არა სცემს. დიდხანს ეწვალა ვაჟი, სანომ დედაბერს გონჩე მოიყვანდა. საწყალი ქალი გამოერკვა მწუხარებისაგან, მოიხადა ბოლიში ყმაწეოლთან და უთხრა თავისი მწუხარების მიზეზი: —მე საწყალი ერთი ქვრივი და ოხერი ვარ. წეითა და დავვით გამოვზარდე ერთად ერთი ვაჟი და ისიც ამაღიმ უნდა მომიკვდეს. —სოქვა და წილინა თავში ხელები. ქვაც-კი ატირდებოდა მისი საცალით.

თურმე იქაურ მოხუცებულ მეფე — დედოფალს ერთად-ერთი ოცი წლის ვაჟის შეტი არა გააჩნდათ რა. იმ ვაეზე უმშვერიერესს თურმე კაცის თვალი ვერ ნახავდა. იმ ვაეზე ამოუდიოდათ მოხუცებულ მშობლებს მშე და მთვარე. მაგრამ დახეთ უბედურებას, დაუბნელდათ მშე, და ეს ერთად — ერთი მათი ნუგეში იმ ათი თვის წინად უეცრად მოუკედათ. თავის სამეფოში ბრძანება გაეცათ, რომ თითო ოჯახიდან ყოველ ღამეს თითო ყარაული გამოსულიყო მიცვალებულის საფლავის საღარაჯოდ. თურმე ვინც-კი დასაფლავების დღიდან მცველიდ ყოფილა საფლავთან, არც-ერთი ცოცხალი ზინ აღარ დაბრუნებულა: ყველა იმ ღამესვე კვდებოდა. იმ ღამესაც თურმე დარაჯობა შეხვდა დედაბრის შვილს, რომელიც დიდი მწუხარებით დაშორდა თავის დედას და საფლავისკენ

გაეშურა. ყმაწვილმა ანუგეშა ძალზე გამწარებული დროის მცხველი დაიიმედა, იმ საათშივე წავალ საფლავის საღარაჯოდ და შენ შეიღს სახლში უვნებლად დაგიბრუნებო; ოღონდ შენ სას-ტელ-საქმელი მომიმზადე: ძალიან მშიერი ვარო.

დოდხანს თვეის ყურებს არ უჯერებდა დედაბერი, როცა ყმაწვილს უსმენდა; მაგრამ ბოლოს დაიჯერა ყოველივე, და-ფაურდა და ვაეს შშვენივრად გაუშიასპინძლდა ვაერ რომ ვე-რიანად შენიყრდა, წავიდა სისაფლოთხე საღარაჯოდ, დედაბ-რის შეიღლი-კი შინ დაბრუნა. ვაერ არხეინად წამოწყა სისა-ფლოთს ახლოს და ერთი ჯერი ვარგად იძინა

შეიქნა შუალამის ხანიც. იმ ღროს გაიხსნა ცა და ზეცი-დან გადმოვიდა შხეთუნახევი ქალი, რომელსაც ხელში სამი ოქროს წნელი ეჭირა. ქალი მიეიდა საფლავთან და ერთი წნელი დაჰკრა. საფლავი გაიხსნა და იქიდან ზევით კუბო ამოვიდა. ქალმა მეორე წნელი დაჰკრა კუბოს. გაიხსნა კუბო და გამოჩენდა მიცალებული ყმაწვილი. ახლა მესამე წნელი დაჰკრა მიცალებულს, და იგი გაცოცხლდა.

ვაერ ისეთი ლამაზი იყო, რომ ძნელად გამოიცნობდით: ქალი სჯობდა ვაეს, თუ ვაერ ქალს. შუალამის ქამს იმათა სიმშევენიერე იქაურობას ინათებდა. ამის შემდეგ ქალი და გაცოცხლებული მეფის ვაერ გადაეხვივნენ ერთმანეთს, დაუწ-ყეს ერთმანეთს კოცნა-ალექსი.

აშასობაში ალიონმაც მოატანა. ქალმა იღო ოქროს წნელი, ის ის იყო ვაეისათვეის უნდა დაეკრა და ისევ მკვდრად ექცია, რომ მოდარაჯე ვაემა სტიცა ქალს ხელი, იისროლა ჰაერში, რამდენჯერმე დაანარცხა მიწაზე და ორი ვეერდის წნელი ჩაამტკრია. ქალმა ახლა-კი იკადრა და ვაეს შეეხვე-წა:— მიხედე შენ ვამჩენს, ოღონდ ახლა სულ ნუ მომკლავ, და ვიძლევ პირობას, რომ დღეიდან ქრისტიან კაცს იღარა ვავნო რაო. აი, ეს სამი ოქროს წნელიც შენთვეის სამახსოვ



როთ მითავაზებით,—სთვა და მსწრაფლ მიეფარგვა უკამა სტეპან  
ეცში.

გაცოცხლებულმა ხელმწიფის შეიღმა დიდი მადლობა  
შესწირა ვაჟს და თავის მამის სახლისაკენ გასწია; ხოლო ვა-  
ჟი დედაბერთან დაბრუნდა. ხალხმა რომ მეფის შეიღმა გა-  
ცოცხლებული და მშობლებისაკენ მიმავალი დაინახა მეფე—  
დედოფალთან სამახარობლოდ გაიქცა, მაგრამ მეფე ისე დაუ-  
ჯერებლიდ სთვლიდა თავისი შეიღმა გაცოცხლებას, რომ  
მათარობლებს, საჩუქრის მაგიერ, თავებს იქრევინებდა, ასე  
რომ სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში ისამდე მათარო-  
ბელს გააგდებინა თავი, იმათი გვამებით კირ-მიდამო გაავსო  
და სისხლით მორწყო.

ბოლოს გამოჩნდა ერთი მათარობელი, რომელმაც რა  
დაინახა მკედრების გვამები, მოკერძო ცინისაკენ და მე-  
ფეს კი შეუკურთხა: —შენც კისერი მოგიტეხია და შენ შეიღ-  
საცაო! მეფემ დაადევნა კაცები: —არიქა, დამიკირეთ ის კა-  
ცი. ეგებ იმან ზაინც მითხრას სიმართლეო. მაგრამ კაცი არას-  
ფრის გზით მეფესთან არ ბრუნდებოდა.

ამასობაში სასახლეში მოატანა მეფის გაცოცხლებულმა  
შეოღმაც. რომლის დანახვამ ბევრი სიხარულის ცრემლები  
აფრქვევინა მის მშობლებს. ახლა სანანებლად მხოლოდ ისლა  
დარჩენოდათ, რომ ამდენ სამახარობლოთ მოსულ ადამიანე-  
ბის ცოდო დაიდვეს.

მამამ გამოჰკითხა თავის შეიღმა გაცოცხლების ამბავი.  
და როცა გაიგო მისებან ვაერის მიერ მიძღვნილი სიკეთე, ბრძა-  
ნი მისი მოყვანა, მაგრამ არ იქნა და არა—ვერაფრის გზით  
ვერ მიაგნეს. ვაშინ ბრძანება გასცა მისი სამეფოს ყველა მა-  
მაკაცების დაბარების შესახებ სასახლის ეზოში. შეიღმა ყვე-  
ლა კაცები სათითაოდ ჩამოათვალიერი, მაგრამ ის ვაერ იქ  
არ აღმოჩნდა. ვაშინ მეფემ ბრძანა: —ვაი თუ ეინმე დაგრჩით



აქ მოუყვანელიო. ერთ დედაბერთან ვინმე უცხო ყმაწველობრივია და ის არ მოგვიყვანია.—მოახსენეს მეფეს. მეფემ უბრძანა იმ ყმაწველის მოყვანაც მაშინათვე იცნო მეფის ვარმა და მშობლებს გააცნო. მეფე-დედოფალი გადაეხვივნენ ვაჟს, ჰერცონიდნენ და სიტყვა ვერ ეპოვათ, რომ მაცლობა რითიშე გადაეხადით მისთვის. სოხოვეს, რომ მათ მეორე შეიღად გამხდარყო, მაგრამ ვაერ არ დათანხმდა. თუ ჩემთვის სიკეთე გინდათ, ამ თასისთანა თასი თუ გექნებათ და მითავაზებთ, ძალიან დაგიმადლებთო; ამასთანავე უჩეენა ოქროს თასი. მეფე-დედოფალი ძალიან გაათავის ამ თასის სანახაობაში.—ჩეენ ამის ფასი არა გავვაჩნია რაო; ეს ათ ჩეენ სამეფოდ ღირსო.

აჩუქეს ვაჟს დიდძალი ოქრო-ექრუხლი და თვალ-მარგალიტი, დაპყოუნეს თავიდან ფეხებამდის და დიდის წუხილით გაისტუმრეს.

ვაერ მიღის და თან მიაქვს ოქროს თასი, ოქროს ბაღია და ოქროსავე სამი წნელი. თანაც ძალიან დარღვეულია ჩაიგირდნილი, რაღვანაც აგრეს სამ-წელიწალს ერთი დღე-ღა უკლია. ამას კი სხვა თასი ჯერაც ვერსად უპოვნია. ამიტომ ძვირფასი ძმები სამუდამოდ დაეღუპება. ამ ფიქრში და დარღვი რომ არის, გავიდა ერთ მშვენიერ ბაღ-ბუჩქნარში, სადაც ცოტა შეისვენა; იქაურობის სანახაობით სტებებოდა. კი ხნის შემდეგ გაახსენდა ოქროს წკეპლები.—მოდი მეც ვსეც და წკეპლების ძალისათ,—სთვა ყმაწველმა და პირ-ველი წნელი მიწაზე დაპყრა. მიწა მსწრაფლ გაისნია. დაპყრა მეორე წკეპლაც და ყმაწველმა კვესკნელში ამოპყო თავი. დაპყრა მესამე წკეპლაც და ყმაწველი გაჩნდა კვეშეთის უცხო ქვეყანაში, რომლის ხილვით ადამიანის თვალი ვერ გაძლებოდა, ისე ათასნაირად ჭყვაოდა იქაურობა. ცოტა მოშორებით დაინახა მოზრდილი გალავანი და შიგ ჩადგმული



მშვენიერი, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი სასახლე. უნივერსიტეტი განი იყო ოქროს თასებით შემოვლებული, რომლებიც სულ ყმაწვილის თასს ჰგავდა. ამ თასების ნახვა ყმაწვილს ძალიან გაუხარდა, მაგრამ ნამალევად კი არც ერთი არ აუღია. იფიქრა: ვიცი, ამ თასების პატრონი ერთ-ორ თასს ან მაჩუქებს და ან მომყიდისო, და ჯერ გაღიანვანში, იქიდან კი სასახლეში შევიდა. სასახლეში მან დაინახა შეუში თქროს მავიდა, რომელზედაც ელავა ათასნაირი სასმელ-საჭმელი. იქვე იღვა სამი ოქროს სკამი. სასახლეში კი არავინ არ იყო. ყმაწვილი აზრით მიხვდა, ამაღამ აქ ვინმე უნდა მოვიდეს და მოდი მე იმათ არ ვეჩვენებით, და იქვე ტახტის ქვეშ დაიმალო.

კოტა ხნის შემდეგ სასახლეში შემოვიდა სამი მხეთუნახევი ქალი, მიუსხდნენ მავიდის და პურის ჭაშა დაიწყეს. თურმე ეს მხეთუნახევები დები ყოფილიყვნენ, სამიერ ერთ-მანეობის მჯობნი და მშვენიერნი.

უფროსში დამ იღო ლვინის შარბათით ხესე თქროს თასი და წარმოსთქვა: — ეს ღმერთმა ადლეგრძელოს ის კაბუკი, რომელმაც მე ორი გვერდის წნელი ჩამამტერია და ოქროს თასსიც მაჩუქებინა, როცა მე ამა და ამ კლდის წყაროზე შეუძლიამისს ვიყვავი გადმოკიდებული და ქრისტიანი კაცის დალუპების ვლამობდიო! — ადლეგრძელოს, ადლეგრძელოს! — დაუკრქს კვერი თრთავე დებმა და ლვინო პირწმინდად გამოსკალეს. ახლა საშუალო დამ იღო ლვინით ხესე თასი და წარმოსთქვა: — ეს ღმერთმა ადლეგრძელოს ის ყმაწვილი, რომელმაც გვმის გვერდებს ამდენჯერმე შემომაწყვიტა, გვერდები ჩამამტერია და ოქროს ბადიაც მაჩუქებინა! — ადლეგრძელოს, ადლეგრძელოს! — იყო პისუხი და თასები დასკალეს. ახლა კი მესამემ, უმცროსში დამ დაიწყე: — ეს ღმერთმა ადლეგრძელოს ის ყმაწვილი, რომელმაც მეც მიწაზე დანარცხებით გვერდები ჩამამტერია, სამი ოქროს წნელი მაჩუქებინა და ამით ხელშიიფის პირშით ვაეს, რომლის მიც-



ვალების მიზეზიც მე ვიყაფი, სიცოცხლე დაუბრუნოთ! მის მარტივება

— აღლეგრძელოს — აღლეგრძელოს! — იყო დანარჩენების პასუხი, და კიქები გამოსცალეს.

ამის შემდეგ გამართეს სასიამოვნო პურის ჭამა და შექცევა. ყველა ამას ტახტის ქვეშ დამალული ყმაწვილი ისშენდა და, გულმა რომ ველარ მოუთმინა, ტახტის ქვეშიდან გამოყიდა და ქალებს მიესალმა: — სწორეთ მე ვახლავარ ის ვაუ, რომლის სადლეგრძელოც ახლა თქვენ დალიეთო და ამის დასამტკიცებლად მაგიდაზე დაულაგა ოქროს თასი, ბადია და წნელები. ქალები ღიღანს გონის ვერ მოვიდნენ; მერე სამოვენი გადაეცივნენ, გადაჯეოუნეს, შუაში ჩაისვეს და ახლა კიდევ უფრო სიამოვნებით განაგრძეს პურის ჭამა

ყმაწვილისაგან რომ გაიგეს იმისი ძმების თავგადასხევალი, დააიმედეს: — ნუ გეშინია, ჩეენ უშეელით იმათაო. ამასობაში ხანი გაეიდა და იმის ძმების დახსნას-კი მხოლოდ სამი საათილი აკლდა. დები-კი აიმედებდნენ: — ჩეენ იქ მისვლას მხოლოდ ერთ-ორ საათს თუ მოუნდებით; შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვსო.

ამის შემდეგ მოიტანეს დიდი ხალიჩა, ორი ხარის ტყავის ოდენა, გაშილეს, დააწყვეს ზედ გალავნათ შემოვლებული ყველა ოქროს თასები, აურაცხელი თვალ-შარვალიტი, ყველა ოქრო-ვერცხლის ნივთი და ივეჯი, დასხდნენ დები ხალიჩაზე, შუაში ჩაისვეს ყმაწვილი და ხალიჩის ასე შეულოცეს: — ხალიჩა, ხალიჩა, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთ წამში ამი-და-ამ ხელმწიფის ხასხლებში მიგვიყენეთ!

მსწრაფლ დანიშნულ იდგილზე გაჩნდნენ. მხოლოდ ერთი საათილი აკლდა ვაჭრის მონობისაგან ვადარჩენას, რომ ყმაწვილი სამი მზეთუნახავი ქალით და უთვალავი თასით წარუდგა ხელმწიფეს და თავისი სიმართლე ვაჭრის წინაშე თასების ჩვენებით დაუმტკიცა. გაოცდნენ მეფე-დედოფალი ამ სანახაობით. შარიან ვიქარს მიწისფერი დაედო. მეფე-დედოფალმა ვაეს სთხოვეს ეპატიებინა მათუეის, მაგრამ ვაემა არაფრის-



ଗଣିତ ଏହି ଅମ୍ବାରୀଙ୍କା: ମେଘେ-ଦେଲାପ୍ରାଳ୍ସ ସାମ୍ରାଜ୍ୟ ହାତରେଖାରେ ମହିମାନ  
ଯୁଦ୍ଧରେ ପ୍ରେରିତ ମୁହାନ୍ତିର ଦ୍ୱାବଲ୍ୟରେ ଜିନିନା. ମେଘଙ୍କିର ନାଥିରେ-ଯେଶୁରେବେଳୀ ଦ୍ୱା  
ବାରିକି କାପ୍ରେବେ ପ୍ରେରିତ ଦ୍ୱାବଲ୍ୟରେ ଜିନିନା ଦ୍ୱାବଲ୍ୟରେ ଜିନିନା.

ଏହିକି ଶ୍ରେଷ୍ଠଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଆମିରିରୀ ଜ୍ୟୋତିରୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ. ଶ୍ରେଷ୍ଠଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ  
ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ମହିମାନ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ତାଙ୍କିର ଶ୍ରେଷ୍ଠଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ  
ପ୍ରେରିତ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ମହିମାନ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ  
ଯେଶୁରେବେଳୀ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ ଦ୍ୱାବଲ୍ୟ.

ଶିଳ୍ପୀ. ପାତ୍ର. ମହିମାନାଶ୍ଵରିଲ୍ଲା





## òဂ္ဂၢာၢာ ဗုဒ္ဓဘာသာ

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ).

## ქუჩის პოლიციელის

## ତାପିକାର୍ଥାଶାପାଳଗ



ასწყუელოს ღმერთმა, ეს ხომ ერთი  
წყვილი კალოშია! — სთქვა პოლო-  
ციელში. — უთუოდ იმ ფეიერისაა, ე  
მანდ მაღლია სართულში რომ ცხოვ-  
რობს. სწორედ ამ სახლის კარებ-  
თან იწყებია.

— უთუოდ ძალიან თბილად და მყუდროდ ინიციენტ ეს კალოშები ფეხებს. რა რბილი ტყავისიანია შეკერილი: ისე მომერგო, თოთქო ჩემ ფეხზე ჩიმოსხმული იყოს. რა უცნოუ-



რად ბრუნავს ეს წუთი-სოფელი. ვინ უშლის ამ დროინდებულ ახალგაზუა აფიცერს, რომ თავის ლოგინში ჩაწევს და იძნოს. გაცხარებული დარბის იგი თავის თავაზი. რა ბეღნიერია ეს ადამიანი! კოლ-შეილი ხარჩენი არა ჰყავს: მარტოხელა კაცი; ყოველ საღამოს საზოგადოებაში ერთობა. ოჲ, მის ადგილის რომ ვიყო, რა ბეღნიერი ვიქნებოდი.

ეს სურდილი რომ გამოსთქვა პოლიციელმა, კალოშებმა, რომელიც ახლა მას ეცეა, თავისი ძალა გამოიჩინა. პოლიციელი მაღლა ხართულის მდგმურ ახალგაზდა აფიცერად გადაიქცა. იგი ახლა თავაზი იდგა, ხელში ვარდის ფერი ქაღალდი ეჭირა, რომელზედაც მისგან შეითხული ლექსი ეწერა. ვინ არ ყოფილა თავის სიცოცხლეში პოეტურად განწყობილი? ამ დროს-კი ქაღალდზე დაწერილი თვითეული ფიქრი ლექსიდ გადაიქცევა ხოლმე.

ლიახ, ამისთანა ლექსებს სწერს ის, ვინც შეკვარებულია; ხოლო, თუ კეუჯ შესწევს, დასაბეჭდად არ გზავნის.

ყველა ამას გრძნობდა ახალგაზდა აფიცერი, რომელმაც თავი ფანჯრის ჩარჩოს მიაყრდნო და გულის სილრმიდან თხერი ამოუშვა.



— საწყილი პოლიციელი, გარედ, ქუჩაში რომ დგას, —ჩემზე ბევრად ბეღნიერია. რაც მე მტანჯავს, მას სრულებით არ აწუხებს. იმის აქვს მყუდრო თჯახი, ჰყავს კოლ-შეილი, რომელიც კირსა და ლიხინში მასთან არის,

ყველაფერში მისი მოზიარეა. ოჲ, ამდენად უფრო ბეღნიერი ვიქნებოდი, იმის იდგილის რომ ვიყო.

იმავე წამს პოლიციელი ისევ პოლიციელად გადაიქცა. კალოშების შემწეობით ის ხომ ახალგაზდა აფიცერად იყო

გადაქცეული, მაგრამ, როგორც ჩვენ უკვე დავინახულები კმაყოფილება იგრძნო და ისევ თავისი ძველი ხელობა არჩია. ამგვარად პოლიციელი ისევ პოლიციელად გადაიქცა.

— რა ხაშინელი სიზმარი დამტკიცმა! — სთქვა მან: — ამავე დროს მეტად უცნაური. სიზმარში ვნახე, თოთქო იმ ახალგაზღვაზე აფიცრად გადაეიქცა, მაღლა ხართულში რომ სცხოვრობს, მაგრამ ამის გამო ირაფერი საამონება არ გამომიტოდა. კოლი და პაწია შეილები მომენატრა, გაცხარებით რომ მკოცნიან და არ იღლებიან.

პოლიციელი ქვაზე ჩამოჯდა და ჩასთვლიმა. ნახული სიზმარი თავში უტრიალებდა. კალოშები ისევ ფეხზე ეცვა. ამ დროს ცას ერთი ვარსკლავი მოსწყდა და ბრწყინვალედ გაიელვა.

— სად დაიკარგა ეს ვარსკლავი? — სთქვა პოლიციელმა. რა სიამონებით გავეცნობოდი ცის მნითობებს, უცელაზე უფრო-კი მთვარეს. მაშინ ხომ ხელ-და-ხელ შუა ველარ გამიძერებოდა, როგორც ამას დღეს სჩიდის. ჩეინი სული, სხეულს რომ ვაეყრება, ხომ ვარსკლავებზე დაფრინავს. ჩემი ცოლი ერთ სტუდენტს საცვლებს ურეცხდეს, და ეს მისგან გაუგონია. მაღლა რომ აფრენა შემეძლოს, სიამონებით დავაგდებდი ამ ჩემ სხეულს აქ საღმე ღობის ძირში.

სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, — ნათქვამია. განსაკუთრებული სიფრთხილე-კი გმართებთ მაშინ, როცა ფეხზე ბეღის კალოშები გაცვიათ.

ახლა ყური დაუგდეთ, რა გადახდა ქუჩის პოლიციელს.

ყველამ ვარგად ვიცით, რა სწრაფი მატარებელია ორთქლის მანქანა. ეს რკინის გზებსა და ზღვაზე მგზავრობის დროს გამოგვიცდია. მზის სხივის სისწრაფესთან კი უცელა ეს ლუკურინს მოძრაობას უდრის: მიკერის ცხრამეტ მილიონ-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე დოლში საუკეთესო გამჭერი ცხენი. ელექტრონი-კი უცელაზე უფრო სწრაფია. სიკვდი-

լո յլլայքթրոննու թաեցոլոց, հռմելու ի վեց շահագույնը  
եղալիք. զանուացուսպայլացնու և սպա յլլայքթրոննու դրացն  
Շյուսեամ և Նյուուսկրեն մուշքնու. Ցնու և նու յրտ Փաթի ուրաս  
մոլուռն ցյրկն ցազլու. յլլայքթրոննու թանձնութ յո ագ-  
մունու և մանմուն սպա ամ մանմուն սպայն օգորչ զագայրունցըծ. Կուս  
մնատոնծըն Շյու թանմունու ցազլա-յո թուտուն եֆորց ուսա,  
հապ հայեն տուն - Ցըշունդունու և անդունդուն ցածրունց. Եռլու առ  
շնուր գացունիպոտ, հռմ շահագույն և պարմուն յլլայքթրոննու  
թաեցոլու գրագամիթանց Ցըշանց և սպայլա մուժամծուն սպահան  
և սպահամուր սպանծուն, տայ թու, հռցուրու ի սինու Ցոլուրուց,  
ույթեց ծցուն յալունցին առ ացրո.

Համեցնեամբ դամակ զարգած ման մանօլու մտցարցեա և պահանջիս Մշա—52,000 մոլու—և զահն և մտցարու յրտ պահանջեա մտու միջազգալունց մտցարու հայքանց, հոգունը յարեա և ցըսանդոննեա, նցյուր մտա քածարուլու, հյալու միջացեա յրտ-մանցունց ջաճաձմուլո. ամ հյալու Մշացուլո—յաօնս Ֆըաց, հոմյուսաց տառալունցացն Տոցհար այցէ. յաօնս գյուղակն թաց-նարյունք հաճա յալու քալոյի, Տանձացա թյերու Շունեայրո. Բահ-մուռացն յայրէնիս Արևու Արևու յրտո Քոյք Եպօլո. Եփո-հյա և Տայտո մեսպայի, հանուն ամ յալոյիս Շընոնցն, տայտո Տանձացն յայրէնիտ, ցըմինաւցն ու ազբուցն, ց յալոյի տեղու նուսլու միջացեա նախա մոմքանքն. մալունաւան-յո ամ Տանձա-նա քանեատու ցըրքա, մՇայքահար մնատուն—հյուն դըմուից.

სხვა-და-სხვა სულდგმულები დაინახა იქ ქუჩის პოლი-  
ციელში; უთუოდ ისეთებიც იყვნენ, ჩეკენში რომ იდამიანებს  
ვეძახით, მაგრამ სულ სხვანირალ-კი მოსჩანდნენ. თავისი ენაც  
ჰქონდათ; მაგრამ განა შეეძლიათ მოსთხოვოთ ქუჩის პოლი-  
ციელის სულს, რომ მთვარის მცხოვრებთა ენა იცოდეს? წარ-  
მოდგინეთ—იცოდა—კი და ცავლაფერი გაიგო.

ნენ: — საექვეოა, რომ დედამიწაზე მცხოვრებელი იუწინებულითება ჰაერი იქ მეტად სქელი იქნება და ვერცერთი გონიერი მთვარის მცხოვრებელი იქ ვერ გასძლებსო. მხოლოდ მთვარე მთვარით კველი სულდგმულთათვის საუკეთესო საცხოვრებელ აღილად. ამტკიცებდნენ, მთვარეა ერთად ერთი მნათობი, სადაც უძველეს დროიდან სამყაროს მოქალაქენი ცხოვრებნო.

ხოლო ჩეენ არ უნდა დავიციწყოთ აღმოსავლეთის ქუჩა, სადაც ქუჩის პოლიციელის უპატრონო სხეულს უნდა მიეხედოთ.

უსიცოცხლო პოლიციელი კიბეზე იჯდა, ჯობი ხელიდან გავარდნოდა და თვალები მთვარისათვის მიეპყრო, სადაც ამ დროს იმისი პატიოსანი სული მოგზაურობდა.

— რომელი ხათორ, პოლიციელო? — ჰკითხა ერთმა გამულყომა კაცმა; მაგრამ ვერაცერი პასუხი ვერ მიიღო: პოლიციელი სდეულდა. უცნობმა ნაზად მოქვეთდა ცხვირზე ხელი და გააქანა. პოლიციელის სხეული მიწაზე გაიშელართა: იყი უსულო გვამი იყო. უცნობ კაცს თავზარი დაეცა. პოლიციელი მკვდარი იყო: სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა.

აცნობეს სადაც ჯერ არს. ამ შემთხვევამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მიცვალებულის გვამი სავაიდმყოფოში წაიღის.

რა ხეხაცილო ამბავი დატრიალდებოდა, პოლიციელის სული მეზავრობიდან რომ დაბრუნებულიყო, ეძებნა და თავისი სხეული აღმოსავლეთის ქუჩაზე არ ენახა. უთუოდ მაშინათვე პოლიციაში გაიქცეოდა და იმ განკუოფილებაში იკითხავდა ამბავს, სადაც დაკარგული ნივთები ინახება. ბოლოს საავადმყოფოსაც მიაგნებდა. ხოლო იმით უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ ადამიანის სული ყველაზე კკვიანად მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა მხოლოდ თავის თავს ენდობა. მისი ყოველნის თავხედობის მიზეზი ხომ სხეულია და სხვა არა-უერი.



როგორც უკვე ვსთქვით, პოლიციელის გვაშიც მდგრადი  
ყოფოში წაიღეს და იმ ოთაში შეიტანეს, ხადაც მიცვალე-  
ბულებს ტანსაცხველს ხდიან. რასაკვირველია—ყველაზე უწინ  
კალოშები გახდეს და სულსაც შეტი გზა არ ჰქონდა—თავის  
ბინაზე უნდა დაბრუნებულიყო. მაშინათვე სხეულს მიაშურა  
და ერთი თვალის დახმარებაში მკრდას სიცოცხლე დაუბ-  
რუნდა. ყველას არწმუნებდა,—ისეთი საშინელი ღამე ჩემ სი-  
ცოცხლეში არ გმიტარებია, და, ყველამდინაც ოქროთი რომ  
ძმებსოთ, ისეთ მგზავრობას ხელმიერედ აღარ შეუდგებიო;  
როგორც იქნა, დავალწიე თავიო.

პოლიციელმა იმავე დღეს დასტოება საავადმყოფო; კალაშნიკოვი-კი იქ დარჩა.

სასიცოვნო წუთი. არა-ჩვეულებრივი მეზოგროპა

ვინც კოპერაგენში ცხოვრობს, ყველა კარგად იცნობს  
ფრიდრიხის საავალყოფოს შესავალ კარებს; მაგრამ რაღაც  
მოსალოდნელია, რომ ამ წიგნს  
ისიც წაიკითხავს, ვინც კო-  
პერაგენში არ ცხოვრობს, ამი-  
ტომ მოკლედ მაინც უნდა ავ-  
წერო ეს კარები.



სადეილმყოფოს პირდაპირ,  
ქუჩის გასწვრივ, მოაჯირია  
გაყვანილი. საკმაოდ მაღალი  
რეინის რიკულები იმდენადაა  
ერთმანეთზე დაშორებული,  
რომ (ეს არაეისთვის საიდუმლო  
არ არის) იმ დაწესებულების  
ზოგი მოსამსახურე, ვისაც სიმ-

ლი, რომელსაც ყველაზე უფრო უკირდა ამ მთავირზე უკეთესად  
ძრომა,—აღიმიანის თავი იყო. აქაც, როგორც საზოგადოდ  
ყველგან ამ წუთი სოფელში, მარჯვედ ის ძერებოდა, კისაც  
პატარი თავი ჰქონდა.

ეს ამ მბის საქმით შესავალია.

საავალმყოფოს ერთი ახალგაზდა მოსამსახურე, რომელ-  
ზედაც მხოლოდ ის ითქმის, რომ იყი მსხვილი თავის პატ-  
რონი იყო, სწორედ ამ საღიმოს მორიგეოდ დაენიშნათ. წევიძა  
კუკისპირულიდ ასხამდა; მაგრამ ამ ორი დაბრუოლების მიუ-  
ხედვად, იმას მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა თუთმეტი წუ-  
თით ქალაქში გასეირნება. მერე განა საჭირო იყო კინის  
მცენელისათვის ამ თავისი განზრახვის გაზიარება, როცა მოხელე  
მთავირის რიკულებს შუა გაძრობას ასე აღვილად მოახერ-  
ხებდა?

პოლიციელის დატოვებული კალოშები იმ ოთახის კუ-  
თხეში ეწყო. მოსამსახურეს ფიქრიდაც არ მოსელია, რომ ეს  
ბედის კალოშები იყო. ამ ავდარში კი ეს კალოშები ძალიან  
გამოადგებოდა. ჩაიცვა. ახლა მთავირში გაძრობა უნდა მოა-  
ხრებდია; ეს კი ჯერ თავის დღეში არ უცდია. მივიღდა მთა-  
ვირთან.

— ლეთის შემწეობით ჯერ რამენაირად თავი უნდა გა-  
ვაძრინოთ! — სოქვა მან და საქმით დიღი თავი იმ წამსვე  
რიკულებ შუა აღვილად გაცყო. ეს კალოშების წყალობა იყო.  
ახლა კი სხეულზე მიღვა ჯერი. აქ-კი მან ვერაცერი გააწყო.

— ოჲ, მეტად მსუჭანი ვყოფილია! — სოქვა მოხელედ: —  
მე კი მეგონა, რომ ყველაზე უფრო თავი გამოკირებდა საქ-  
მეს. რომ ვერ ვაძრებდ გაძრობას!

ახლა გარედ გამოყოფილი თავის სწრაფად უკან გამო-  
რობა მოინდომა, მიგრამ ვერ მოახერხა. მხოლოდ კისერს თა-  
ვისუფლად ამოძრავებდა, — ეს იყო და ეს. უეცრად გუნდება  
შეეცვალა, გულზე ჯევრი მოაწევა. ამ საშინელ ყოფაში ბე-

დის კალოშებმა ჩიაგდეს ეს ადამიანი. საუბედუროდ აფექტობდა დაც არ მოსვლით განთავისუფლება ენატრა: არა, — ყოველნი-რად ცოდვილობდა და იდგილიდან ვერ იძირდა. კოკის პი-რული წევიძა ასხამდა. ჭრიაში არცერთი გამვლელი ადამიანი არ სჩანდა. მოხელე კარის ზარს ვერას გზით ვერ მისწვდე-ბოდა, და როგორ უნდა განთავისუფლებულიყო.

Աթագու եցազար հիյենի մոելոց, հոմ զատցեցքամլուս ապ շնձա գորհիցնոլոցու. լոլուս յո թէյլըլս լաօնծարեծնցն լա հյոնուս հոյուլըմ լառնցացնցնցնցն. թաշրամ պայլա ամս եռմ դրու լինդուա. ամսեմծա՛նո թոյլո ոմ ևանցավույլըմլուս ծայ՛չըցն, հոմըլուկ ևացածմպողուս წոն ոյս წօմուկոմուլո, ամիս ևապու- հրեծնուա զամուցուցեծնցն; ևօցածմպողուս մոսամսաշնչըցն ոյ մոոյրուցն բաց ամ չոշտուցու թոյոց առամունուս ևապ- յերնուա. յուրու ալուսյուու լա աշխատուրու ուկուցնցուա.

— თაქ, სისხლი მოვეარდა თავში: უთუოდ, უთუოდ გავ-  
გიუდები. ვერძნობ, რომ გონება მებნევა. ერთი რომ განვთა-  
ვისუფლდე, სხვა ორაფერი მინდა ამ ქვეყანაზე,—სთქვა მო-  
ხელებ.

აღრევე ასე უნდა ეთქვა. წარმოსთქვა თუ არა ეს სი-  
ტყვები, იმ წამსვე გამოჲყო უკან თავი და გაექანა საავალ-  
მყოფოსაკენ, მთლად გამოიტინებული იმ უბედურებისაგან,  
რომელიც ბედის კალოშების წყალობით თავს დაატყდა.

არით იუკრანოთ კი, რომ მთელი ეს ამბავი ამით დასრულდა.  
არა,—ამაზე უარესი კიდევ წინ იყო.

ອົບ ດາວັນທະນາ ຖະແຫຼງ, ຖະແຫຼງ ດ້ວຍເກີດ, ພົມ ດ້ວຍເກີດ  
ຈະ ດ້ວຍເກີດ ທີ່ ດ້ວຍເກີດ ຕະຫຼາມ.

სცენის მოყვარულთა თეატრში საღამოს წარმოდგენა იყო გამართული. დარბაზი ხალხით გაიკედა. უნდა წაეკითხათ ერთი ახალი პოემა: „მძმიდას სათვალე“.

ვინც ამ სათვალეს გრიკეობდა, აღამიანები სათამიშო ბანქოს სურათებსავით ეჩვენებოდა და იმათი საშუალებით

იმის გამოცნობა შეეძლო, თუ წელს დედამიწაზე რა ამჟამაში არის.

დეკლამატორმა შშვენივრად წაიკითხა ერთი პოემა და აღტაცებული ტაშის ცემა გამოიწვია. დამსწრეთა შორის ჩვენი იხილვაზდა მოხელეები იყო, რომელისაც სრულებით დააფიქსირდა ცველაფერი, რაც წუხელის გადახდა. კალოშები ისევ ესავა, რადგან არავის არ მოუკითხავ; ამ აღდარში კი ეს კალოშები კარგ სამსახურს გაუწევდა.

პოემა მოხელესაც მოეწონა. თავში უტრიალებდა ფიქრი იმის შესხებ, თუ როგორ შეეძლო აღმიანის გამოეყენებია ამგვარი სათვალე. შეიძლება თუ არა ამ სათვალეს საშუალებით აღამიანის გულში ჩახედვა? ეს ხომ ბევრად უფრო სიინტერესოა, ვიდრე მომავალ ამბების გაგება. ამ ამბებს ხომ ცველა გაიგებს თავის დროზე; აღამიანის გულში კი ცველა ვერ ჩასწევდება. აი, თეატრის დარბაზის პირველ რივში სულ მდიდარი ხალხი — ქალები და კაცები — სხედან. იმათ გულში რომ ჩაიხედოს აღამიანმა, უთუოდ სხვა-და-სხვა სივაჭრო საქანონით საესე მაღაზიებს დაინახავს. აი, ე მანდ ქალი რომ ზის, იმისი გული უთუოდ ახალ მოდის კაბებით აქრელებულ მაღაზის ემზავესება. მის გვერდით მჯდომარე ქალის გული კი უთუოდ ცარიელი დარბაზია, რომელსაც დიალაც ესაკიროება ერთი კარგი გამოგვა — დასუფთავება. ნეტა კარგ სანახობასაც თუ გადაეყრება მაყურებელი აღამიანთა გულში? რატომ არა, — ამოიოხრა მოხელეში: — ერთ გულს ვიცნობ, რომელიც შშვენიერი ნიკებით საესე მაღაზის ჰვავს, მაგრამ იქ ისეთი ნოჭარი ბძინებლობს, რომელიც მთელ ამ შშვენიერების ფასს უკირგავს. აი, იმ მხარეზე რომ კაცები სხედან, იმათ გულიდან თითქო ხმა მოისმის: — კეთილ ინებეთ, ბატონებო, ჩვენთან შემობრძანდითო. — ოჳ, რა სიამოვნებით შევიდოდი და საყვარელ პაწია ფიქრად ქცეული დაუვლიდი გულში მთელ ამ თავმოყრილ საზოგადოებას.



აბა, დახედეთ, ეს ნატერა ხომ საკმაო იყო ბეჭდის ქადაგის  
შემცირებისათვის. ახალგაზიდა მოხელე მსწრაფლი ერთ ნამცენად იქ-  
ცა და შეუდგა არა-ჩეკეულებრივ მგზავრობას პირველ რიგში  
დაბძანებულ ხალხის გულში.

პირველი გული, სადაც მოხელე შევიდა, ერთ მანდი-  
ლობანს ეკუთვნოდა.—ორთოპედიულ ინსტიტუტში ხომ არ  
მოვხედიოთ,—იმ წამსვე იფიქრი ჩვენმა მგზავრმა. ასე უძახიან  
იმ სამკურნალოს, სადაც დაკუტებულ სნეულებს ხელ-ფეხს  
უსწორებენ. მანდილოსანის გული იმ ოთახს ჰგავდა, სადაც  
კედლებზე სხეულის დასახიჩრებულ ნაწილების თეთრი თიხი-  
საგან გაკეთებული ფორმებით ჩამოკიდებული. განსხვავება მხო-  
ლოდ იმაში იყო, რომ ამ ფორმების მაგიერ მანდილოსანის  
გულში შენახული იყო ფორმები მისი მეცნიერი ქალების სუ-  
ლიერი და ხორციელი ცოდვებისა.

მოხელე მაღლ მეორე ქალის გულში განიდა, რომელიც  
დიდ, წმინდა ეკლესიად წარმოუდგა. მაღლალ საკურთხეველს  
თავს ევლებოდნენ უმანჯო თეთრი მტრებული. მოხელე სია-  
მოვნებით მუხლს მოიდრეკა ამ საკურთხეველის წინაშე,  
მაგრამ მგზავრობა უნდა განეკერძო, —მეზობლის გულში უნდა  
გადასულიყო. მოესმა ორგანის მუსიკა და მოხელემ რაღაც  
განხელება, სულის განსპეციალება იგრძნო.

მეზობლის გულიც წმინდათა წმინდა იყო: ღარიბული  
პაწია ოთახი მაღლა ჩარდახში, სადაც აყადმყოფა ქალი—დედა  
იწვა. გალებულ ფანჯარაში ბრწყინვალე მზე ინათებდა. ფან-  
ჯარასთან შშევნიერი ქორფა ვარდები მოსიანდა. ორი ცის-  
ფერი ფრინველი საუცხოოდ ვალობდა და თავს ევლებოდა  
აყადმყოფს, რომელიც თავის ქალიშეიღს პლოცავდა და  
ღმერთს აყედრებდა.

შემდეგ მოხელე რაღაც პატარა დუქანში შეძრია, რო-  
მელიც ხორცით იყო სავსე. იატაკზე ცოცვით ძლიერ გაიგ-  
ნა გზა. სიოთკენაც არ მიბრუნდა, კველვან ხორცს და მხო-

ლოდ ხორცს აწყდებოდა. ეს იყო გული ერთი მფრდებულისა, რომლის სახელი ცველის ენაზე მიკრი.

ამავ ერთი მანლილოსნის გულში გამნდა ჩეენი მოხელე. ეს გული სამტრედეს წარმოადგენდა. ამ ქალის ქმრის სურათი სამტრედეზე თუნუქის მამალსავით დარკობილი და კარებთან დაკავშირებული იყო. გაიღებოდა თუ არა მანლილოსნის გულის კარები, ქმრის სურათიც მობრუნდებოდა.

ჩეენმა მგზავრმა შემდეგ მიაღწია სარკეებით შემკულ დიდ დარბაზს, რომლის მზგვესს მხოლოდ სასიხლეებში თუ შეხვდება ადამიანი. ეს სარკეები უზომოდ აღიდებდნენ თვითეულ საგანს. დარბაზის შუაგულ ადგილის, იატაკზე, დალაი-ლამას დაბაძნებული იყო გულის პატრონის უმნიშვნელო პიროვნება და სარკეებზე გამოხატულ თავის სიღიადეს თავ-მომწონედ შეჰყურებდა.

შემდეგ თითქო ქინძისთავებით საესე პაწია კოლოფში მოხედა ჩეენი მოხელე. უპველად გაუთხოვარი, დაბერებული ქალწულის გული იქნებათ,—იფიქრა მგზავრმა. მაგრამ მისი ფიქრი არ გამართლდა: პირ-იქით—სრულებით ახალგაზლა, რამდენიმე ორდენით დაჯილდოებულ, მამაც, შეუპოვარ მეობრის, ხალდათის გული გამოდგა.

სრულებით გაბრუებული გამოეიდა ახალგაზლა მოხელე უკანასკნელი გულიდან; დაფან ტული ფიქრები ვერ შემოეკრიბდნა. იფიქრა, უთუოდ დავრეტინდი და იმიტომ წარმომიდგა ეს ყალბი სურათებით.

— ლმერთო ჩემო,— ამოიოხრა მოხელემ: — უთუოდ დაბადებიდანვე სნეული ვარ და ადვილად გავვიქდები. რა საშინლად ცხელა: სისხლი თავში ამიგარდა.

ამ ღრის გაახსენდა წუხანდელი მწუხარება, საავადმყოფოს მოაჯირიდან რომ ვერას გზით ვერ გამოჰყო უკან თავი. ნამდეილად მაშინ შერყეულა ჩემი ტვინიო, — იფიქრა შან. — ამას ყურადღება უნდა მივაქციო. რა კარგია ახლა ჩემთვის

ერთი რუსული ორთქლის აბანო. რა სიმოვნებით გავავი-  
ბოდი იქ მაღლა თაროზე!

იმავე წუთს გაჩნდა რუსულ აბანოში, სადაც მაღლა თა-  
როზე იწყა. ტანისამოსი, ფეხსამელები და კალოშები ეცვა-  
ტხელი წყალი ჰერიდან პირდაპირ სახეზე ეწვეთებოდა.

—უმ! —წამოიძახა მოხელემ და მსწრაფლ დაბლა ჩამოირ-  
ბინა, რომ ციცი წყალით თავი გაეცრილებია. აბანოში მოსამ-  
სახურებ ერთი წამოიყვირა, როცა ტანისამოსში გამოწყობი-  
ლი უცნობი კაცი დაინია.

ახალგაზლი მოხელემ თავი შეიკავა და ნიძლავი გვაქვს  
დადებულიო, ჩაუჩიურჩიული ყურში აბანოს მოსამსახურეს.

შინ რომ დაბრუნდა, გულსა და ზურგზე მაღლამო წაისვა,  
რომ სიგიფის ქარცეცხლი სხეულიდან გამოედენა.

დილით რომ გამოელეიძა, ზურგი დასისხლიანებული პქნ-  
და. ეს ბედის კალოშების საჩუქარი იყო.

ილია ნაუკაშიძე

(დასახრული იქნება)





## სამკურნალო ხელოუზნება და სახელგანთქმული მკურნალები

(წერილი მესამე)

მებულქეს შვილმა დაიხსნა კაცობრიობა საშინელ  
ტანჯვა-წვალებისაგან.

**2** ოფორტ ვნახეთ, ჯონ ჰენტერის წყალობით ღოს-  
ტიქტობამ ღიღი ნაბიჯი გადასდგა წინ, მაგრამ უმ-  
თავრესი საქმე ჯერ კიდევ შორს იყო. როცა აღ-  
მიანს ფეხს ანუ ხელს სკრიტნენ, იმ დროს ის სრულ გონება-  
გრძნობაზე იყო, და აბა თითონ იფიქტეთ, რა ტანჯვა და  
ტკიფილები უნდა გამოევლოთ ჩვენ წინაპრებს, სანამ დოსტ-  
ქრები სხეულის რომელიმე ნაწილის მოქრის დაასრულებლნენ!  
ეს იყო მიზეზი, რომ ბევრი ივადმყოფი ხშირად ვერ იტანდა  
ასეთ ტკიფილებსა და, სანამ ექიმები თქვრაციას გაათავებლნენ,  
ივადმყოფი უკვე სიცოცხლეს ესალმებოდნენ!..

სულ სხვანირად არის ეს საქმე ახლა მოწყობილი: ახ-  
ლა ირა თუ აღარ იხოცებიან ივადმყოფი იმისაგან, რომ სა-  
კირო დროს მათ ხელ ფეხს ანუ სხეულის სხვა რომელსამე



ასოს სტრიან, არამედ უბრალო ტკივილსაც აღარ გამოწვენა ამ დროს. ეს მადლი კი სულ ჯემს იუნგ სიმპსონს უნდა მიეწეროს!

სიმპსონის მშობლები უბრალო დარიბი ხალხი იყო. მის მამას ჰქონდა ერთი პატარი საბულეკე შოტლანდიის ერთს მი- ყრუებულ ქალაქში. ვაჭრობი მცირე ჰქონდა და იმიტომ ოჯახიც გაჟირებას ითმენდა. 1811 წელს მას დაებადა ვაერ- შეილი, რომელსაც სახელად დაარქვა ჯემს. ჯემის დაბადე- ბით ოჯახი, რა თქმა უნდა, არ გამოიტარდა, მაგრამ ყმაწეი- ლი ისეთი ნიჭიერი გამოდგა, რომ მამამ გადასწყვიტა კარგი განათლება შეიცა მისთვის, რამდენიდაც უნდა დასჯდომოდა.

### დიდხანს ეძებდნენ დასაძინებელ წამალს.

ჯემი სკოლაში მიაბარეს. ექვემდებარებული მისი სალაშობით, როცა გაკეთილებს მორჩებოდა, მამას ჰქონდა საბულეკე ში. როცა ჯემი 14 წლისა შესრულდა, იგი გაგზავნეს ედინბურგის უნივერსიტეტში, რომელიც გაა- თავა 21 წლისამ და მიიღო დოქტორის ხარისხი. ჯემი პირ- ველად სამხედრო საავადმყოფოში დანიშნეს ქიმიად და დოს- ტაქტოდ. იქ მას ხშირად უხდებოდა ოპერაციების კეთება და საკუთარის თვალით ხედავდა, თუ რა ტანჯვას და ტკივილებს იტანდნენ ავადმყოფები დანით გაქრისა თუ მოკრისებან სხეუ- ლის რომელიმე ნაწილისა. კეთილი ჯემი ძალიან დააფიქრა ამ ამბავმა და შეუდგა ძიებას და ფიქრს: უნდოდა აღმოეჩინა ისეთი დასაძინებელი წამალი, რომ ავადმყოფთ არაუერი არ გვრძნოთ სხეულის გაქრის დროსა. დიდხანს ითიქრა ჯემსმა ამაზე, ბევრჯელ გამოსცადა თავის თავზე სხვა-და-სხვა წამა- ლი, მაგრამ ამაოდ: ეერათერი ვერ აღმოაჩინა. ბოლოს სკა-

და ხლოროფოტომის \*), რომელიც ჩასხა შეზაში და დანართები და გენერატორები შეისუნთქა. შეისუნთქა თუ არა, წამილმა გასკრა და ჯემსი ძილმა შეიძყრო.

ვითარი რამდენმამე საათმა და ჯემსს გამოელვიდა. ჯემსის სიხარულის საზღვარი არა ჰქონდა. ის დაუყოვნებლივ შეუდგა ამ ახალი წამლის გამოცდას ავადმყოფებზე დანით სხეულის გაქრის დროს და იდმოჩნდა, რომ ამ წამლით დაძინებული ავადმყოფები ჩართლაც არავითარ ტკივილებს არა გრძნობენ გაქრის დროს. ეს ამბავი ელვის სისწრავით მოედვა ქვეყნის და ლარიბ შოტლანდიელ მებულებს შეილის სახელი ერთბაშად გაითქვა მთელი ქვეყნის პირზე...

### ლუი პასტერი იკვლევს მიკრობებს მიკროსკოპით.

ჯემს სიმპსონმა დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას ხლოროფოტომის აღმოჩენით. მისი მაღლი იყო, რომ ახლა იმდენი ხალხი აღარ იხოცებოდა ოპერაციებისაგან, როგორც მანამდე, მაგრამ მაინც, ხშირად, თუმცა გაქრა კარგად ჩაიგლიდა ხოლმე, გაქრილი ადგილი არ უმთელდებოდა ავადმყოფს, უჩირქდებოდა, ეხრწნებოდა და ავადმყოფიც კედებოდა, ვერა და ვერ მიხვდნენ მაშინდელი ექიმები და მეცნიერები თუ რისგან წარმოსდგებოდა ეს უკნაური ამბავი რისგან და რად უჩირქდება ავადმყოფს მოქრილი ადგილი?!

ყველაფერი ეს ახსნა და განმირტა ლუი პასტერმა. პასტერი ფრანგი იყო. დაიბადა 1820 წელს. მამა მისი იყო სა-

\* ) ხლოროფოტომის არის უფერო, ზეთის მაგვარი სურნელოვანი ხითხვე, მოტკო გემოსი, აკუსტურ ღვინის სპირტიდან გამოსდით. ამისი სუნისაგან აღმიანები და ცხოველები ჰქონებენ გრძნობას და ამ ძილის დროს უკაფებენ ოპერაციას, რომ ავადმყოფებმა ტკივილები არ იგრძნონ...



ფრანგეთის მეფის ნაპოლეონ I დროის საღვარითი. მარებრ ქალავა დასრულდა, ის დაბინავდა ხაფრანგეთის ქალაქ დოლში და გახსნა ტყავეულობის ქარხანა. მამას ძალიან უცვარდა პატარა ლურ და ცდილობდა კარგი განათლება მიეცა მისთვის. ლურ-საც ძლიერ უცვარდა მამი და ამიტომ ისე დანალელიანდა უცხო ქალაქში, როცა ის იქ სკოლაში მიაბარეს, რომ ავად შეიქნა და იტყოდა ხოლმე: „ერთი მამაჩემის ქარხნის მუხის ქერქისთვის მასუნებინა და იმი სხათს მოვრჩებით“! ის შინ წამოიყვანეს, სადაც საესებით შეეძლო გამძლარიყო ტყავის მოსაქნელი მუხის ქერქის სუნით და, მართლაც, განიკურნა კიდეც.

ლურ კვლავ სწავლას დაუბრუნდა...

ლურ პასტერშა შეიძინა მიკროსკოპი და მთელ დღეებს შარტო იმაში ატარებდა, რომ ხას სინჯავდა მიკროსკოპით და ხან რას. ზოგრამ უფრო კი მიკრობების ანუ ბაქ-ტერიების (თვალით უხილევი ცხოველებია) ყოფა-ცხოვერებას აღევნებდა თვალს და ყველა ნაკვლევს გულში იმარხავდა. პროფესორებს უკვირდათ პასტერს ქცევა, თითქმის უქმა-ყოფილებასაც აცხადებუნენ მის სერ ქცევაზე და ერთხელ უთხრეს: — ახლა, რად გინდა, პასტერ, რომ ასე ჩისკიციხარ მაგ სასაცილო ქია-ჭუებსა თუ მცუნარეებსა?

რა გამოვიდა პასტერის ახეთი გულმოდგინე  
კვლევა-მიებიდან!

ლურმ კარგიდ იცოდა, რასაც აკეთებდა, და ამიტომ თავებამოდებით განაგრძობდა მიკროსკოპით მუშაობას. იყი სინჯავდა მიკროსკოპით უუმცირეს წევების ხან ღეინისას, ხან ლუდისას და ხან რძისას და შენიშნა, რომ თუ დღეს

ოციოდე მიკრობი იყო რომელსამე მათგანში, მეორედ დღიული მკურნალობის სამე თუ მეოთხე დღეს ოცის მაგიერ მთელი ათასები და მილიონები გახდებოდა ხოლმე ამ მიკრობების რიცხვი. რატომ და რისგან? ნიკიერი ლუი მიხვდა, რომ რამდენადაც მეტად მეავდება ლეინო, ლუდი თუ რძე, იმდენად მეტი ფუსტუსებს ხოლმე შიგ მიკრობი, და აგრძევე, რამდენადაც მეტი მიკრობი ჩნდება რომელსამე მათგანში, იმდენადვე მეტად მრავლდებიან ისინი. ერთი სიტყვით, პასტერშა იღმოაჩინა ის კეშარიტება, რომელიც მის დრომდე არავინ იცოდა, რომ ყურანის ტკილის, რძის, და სხვა კველაფრის დუღილი და დამჟავება სულ უბრალო, თვალისფერის უხილავ ჭიბისაგან, მიკრობებისაგან, წარმოსდგება.

შალე პასტერშა დაისკვნა თავისი კვლევა-ძიებიდან, რომ ხორციც ამ მიკრობისგან ფუჭდება და იხრწყნება, შაშახალა-ბე, — იდამიანის ჭრილობანიც მისგან იხრწნება!

ამის გამოქვეყნება და პასტერის უდიდეს მეცნიერად და გენიოსად გამოცხადება მთელ დედამიწაზე ერთი იყო!..

ლოსტაქერებშა — მკურნალებშა შაშინვე მიაქციეს ყურად-ლება პასტერის იღმონენას და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ისე-თი წამლების ხმარებას და სისუფთავის დაცვას იმ ოთახში, სადაც ავადმყოფებს ოპერაციებს უკეთებდნენ, რომ იქ აღარც ერთი მიკრობი და ბაცილა იღარ ყოფილიყო ჰაერში, რათა ამ გზით, სხეულის გავრის დროს, ჰაერიდან აღარც ერთი მიკრობი და ბაცილა იღარ მიჰყარებოდა ჭრილობას და ამ დაეჩირქა იყო. სცადეს და, მართლაც, ასეთი სიფრთხილით გა-კეთებული ჭრილობანი სრულიად აღარ ჩირქდებოდა და ავად-მყოფიც ამის გამო მალე რჩებოდა...



## როგორ დაიხსნა პასტერშა მთელი ქვეყნის მეაბრეშუ- მეობა სრული განადგურებითაც.

პასტერის დროს საფრანგეთში აბრეშუმის ჭია გაუჩნდა  
ერთი ისეთი ჰირი, რომ ჭია სულ მთლიად სწორედ მაშინ  
იხოცებოდა, როცა იგი ეს არის ცახშე უნდა ასულიყო და  
პარკი გადაკეთებინა. შეწუხდა მთელი საფრანგეთი; არ იკოდ-  
ნენ — რა ექნათ, რომ ჭია აღმო დახოცილიყო!

გვიდა ერთი წელიწადი, მეორე, მესამე: ჭია კელავინ-  
დებურად იღუპებოდა. პასტერმა დაინახა, რომ ხალხს ხელი-  
დან ეცლება. ისეთი შემოსავლითი საქმე, როგორიც მეაბრე-  
შუმეობა არის, და გადასწყვიტა ეშველა ხალხისათვის. მან  
მოატანინა რამდენიმე ახლად მომკედარი ჭია და გასინჯა თუ  
არა მიკროსკოპში, მაშინვე აღმოაჩინა მიზეზი მათი უდრიოთ  
დახოცისა... მიზეზი-კი ის იყო თურმე, რომ აბრეშუმის ჭიას  
მუცელში ათასობით დაპატიჟოდნენ ბაცილები და ამათ მოეკ-  
ლათ.


პასტერმა გასინჯა აბრეშუმის ჭიის თესლებიც და ალ-  
მოაჩინა, რომ ზოგ თესლშიაც არის ეს ბაცილები და ზოგში  
კი არა. პასტერმა ბეჯითად გადაარჩია მიკროსკოპით ყოვე-  
ლი თესლი და რომელშიაც ბაცილა აღმოჩნდებოდა, იქვე  
ცეცხლში სწვევდა, ხოლო ხალ, უძაცილო თესლს ცალკე  
კოლოფებში იგრძელებდა და ურჩია ხალს, რომ მხოლოდ ასე  
ბეჯითად გასინჯული და გადაარჩეული თესლიდან გამოეყვა-  
ნათ აბრეშუმის და იგი აღარ დასნეულდება, აღარ  
დაეღუპებათ.

პასტერის აჩვენა სწორი გამოდება და მას აქეთია, რომ  
მცოდნე მეაბრეშუმებს ისე არ მოჰყავთ ჭია, თუ ჭიის თესლი  
მცოდნე და ნასწავლებ ხალხისაგან არ არის მიკროსკოპით გა-  
სინჯული და გადაარჩეული!..

ასე და ამგვარად დაიხსნა პასტერშა მეაბრეშუმელში სამუშაოების სამშობლოში და მთელ ქვეყანაზე სრული განადგურებისაგან და მით შესძინა და გადაურჩინა მარტო თავის სამშობლოს ყოველწლიურად ერთი მილიორდი (ათასი მილიონი მანეთი), იანგარიშეთ ახლა რამდენს ზარალს გადაარჩინა პასტერშა თავისი აღმოჩენის უსაზღვრო სიღიიდეს...

ი. როსტომიშვილი.

(შემდეგი იქნება)






## ನೋಡುಸಿ



(ಬೆಂಗಳೂರು ನಗರ ಕಾರ್ಯಾಲಯ ಮಹಿಳಾ ಪ್ರಾಧಿಕಾರದ ಮೇರೆ)

3,,



, 3

ತ್ಯಾಗಿಸಿ  
ಮಂತ್ರಿನು  
ಧಾರಿಸಿ?




ಉತ್ಸವ  
ರಾ  
ಪ್ರಾರ್ಥಣೆ?



ತಮಾಡಿನ  
ಮಂತ್ರಿನು  
ಧಾ ತ್ಯಾಗಿ?



3



25 ಮಾರ್ತ್ರಿಕಾರಾ  
ಧರ್ಮಸಾರ್ಥಕಾಲಿನಾ?

ತಾಪ್ಯಿನಿಸಿ ದಿನಾಸ  
ರಾ ಕ್ಷೇತ್ರಿಸಿ?

# „ნაკადული“-ზე რედაქციაში

დ.

წიგნ-პირველის საცოდადოების წიგნის მაღაზიაში იყალის შედეგი წარვიტა:

- |     |  |       |
|-----|--|-------|
| 1)  | ტომის თაფვადასხვალი.—თხ. მარკ ტევენისა, თარგმ.   | 50 კ. |
|     | გრ. ყოფშიძისა, ფასი . . . . .  |       |
| 2)  | რას გვიამბობს ოთახი,—თხ. ივენარისუსის, თარგმ.  | 20 კ. |
|     | გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . .  |       |
| 3)  | საცმაწვილო მოთხრობები,—ნინო ნაეაშიძის ფასი .   | 10 კ. |
| 4)  | სკრუჟი და მარლენი,—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ<br>დიკეინისისა, თარგმანი ნინო ნაეაშიძისა, ფასი .  | 25 კ. |
| 5)  | დასურათებული საცმაწვილო მოთხრობები პ. ქ. ან-<br>დრისენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა<br>და რ. კიბლინგისა, ფასი. . . . .              | 30 კ. |
| 6)  | ბავშვობა და სიყრმე.—მოთხრობა ლევ. ტოლსტოი-<br>სა, თარგმ. ნინო ნაეაშიძისა, ფასი. . . . .  | 60 კ. |
| 7)  | ორი მხატვარი,—თარგმანი ლ. ევლიანისა, ფასი .  | 15 კ. |
| 8)  | სამშობლო ბუნების ხარე, დასურათებული საყმა-<br>წვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი.   | 30 კ. |
| 9)  | შობა, მოთხრობა გურიის ქართველიდან,—ნინო ნა-<br>ეაშიძისა, ფასი. . . . .   | 5 კ.  |
| 10) | ახალგაზრდა მეცინის სიზმარი და დევი—ეგოსტი,<br>ორი მოთხრობა თსკარ უაოლდისა, თარგმ. ივ.<br>მაკევარიანისა, ფასი. . . . .                        | 5 კ.  |
| 11) | დათო,—ირ. ევლოშვილისა, დიდების მაძიებელი,<br>თარგმ ალ. შინშიაშვილისა, ფასი. . . . .  | 5 კ.  |
| 12) | მოთხრობები,—ლავერალეფისა და სხვა უცხო მწერ-<br>ლებისა. . . . .   | 5 კ.  |
| 13) | ივანე-არაენი,—125 დასურათებული, პატიონი მოთხ-<br>რობა, ავტორის სურათით, ალ. მირიან შვილი-<br>სა, ფასი. . . . .                               | 75 კ. |
| 14) | ბიძია თომის ქანი,—რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგ-<br>თა განთვეისუფლების დროისა, სურათებითა და<br>ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა. 1 გ. 25 კ. |       |

# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ ხელმიწველო ქურნალ ირკოტკავკაზიური გამოცემისა

## “ნაკადული”-ზე

წელიწადი მეთორეცი

ქურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუალედი გამოცემის თავმარტინი

**24 წიგნი „ნაკადულისა“** მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი „ნაკადულისა“** მოზრდილთათვის.

კოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოწერილ შხატვართ ნახატი.

ფასი ქურნალის: წლოური არივე გამოცემა—5 მან. იმათ-თვის, ვინც ქურნალს რედაქტირები მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახვარ წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაბ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 50 კაბ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაბ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიდაც.

ვსთხოვთ ხელის მომშრალებს თუ ქურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და აღრესის გამო-ცვლი დროს შეგვატყობინონ. აღრესის გამოხაცვლელი—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

### ხელის მომზადება

ტუილისში—„ნაკადულის“ რედაქტირები, ზუბალაშვილის სახ-ლი გოლოვინის პროს. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსისელელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერი-კითხვის გამოცრაცელებელ სახოვალოების წიგნის მაღაზიაში, სახელის ქ. ქუთაისში—ისიდორე კვილარიძესთან, ქ. ყაუხეჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიშვილთან. ბათოშ-ში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან უპრავები. ოშურგვეთში ტ. ლანჩხუთში—ლეო იმნძელსთან. თე-ლავში—ვანო პატარაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვა-რაშვაძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორიში—ქეოვენ ჯა-ვახიშვილთან და ნინო ლომიურთან. ჭიათურაში—ივ. გომელიაურ-თან. ხონში—მ. ი. ჭიგვანიძესთან. მიხალოვოში—გორგი ნაკა-შიძესთან. ყვირილაში—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.